ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ელენე ხოშტარია: „ძალიან საშიში ვითარება შემექმნა და ამიტომ გადასხმა მივიღე“

გვ.3



ხუთშაბათი, 11 ნოემბერი, 2021 №213 (8742) ფასი: 60 თეთრი

# „სააკაშვილს დაზიანებები აღენიშნება, წამლებს აღარ იღებს. ასე გაგრძელება შეუძლებელია“

გიული ალასანია: „თვალწინ მიკლავენ ერთადერთ შვილს... დაგვეხმარეთ, გადავარჩინოთ ეს სიცოცხლე!“



„გლდანის ციხეში არავითარი აპარატურა არ მინახავს“



გვ.3

## „სააკაშვილის საქმეზე ობიექტურობის ილუზია ნუ გვექნება“



გვ.3

მამუკა ახვლედიანი: „პატიმრის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება სხვა არ მინახავს... აი, ასეთი საქმეებისთვის სჭირდებოდათ დისკრედიტებული სასამართლო სისტემა“



გვ.2

## რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლებას არ აწყობს სააკაშვილის განადგურება“

## ლევან ჩაჩუა: „სააკაშვილი გლდანის ციხეში პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად გადაიყვანეს“



გვ.4

## შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილის მიმართ ფსიქოლოგიური წნეხი ხორციელდება. ეს წამებაა“



გვ.4



გვ.5

საქართველოს მესამე პრეზიდენტს 7 ნოემბრის საქმეზე პატიმრობა გაუუქმდა

## „სააკაშვილს 600-მანქანიანი კორტეჟი უნდა გაჰყოლოდა“



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ამერიკული ხომალდების ვიზიტი საქართველოსა და აშშ-ს შორის ძლიერი სტრატეგიული ურთიერთობების კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა“

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია: „რეჟიმს მშვიდობიანი აქციებით გავტეხავთ“

5 სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის საქმეზე დაკავებულები პატიმრობაში დარჩნენ

5 ნინო ლომჯარია: „გლდანის ციხეში პატიმრებმა მაგინეს“

6 პოლონეთში დააკავეს ყველა, ვინც საზღვრის გადაკვეთა ცადა

# „ხელისუფლებას არ აწყობს სააკაშვილის განადგურება“

## რამაზ საყვარელიძე: „ახლა ემოციური პიკია. ამ მუხტის შენარჩუნება ოპოზიციას გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რა შეიძლება, ამ ყველაფრის ფინალი იყოს?***

– 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ სურათს პირველად არ ვუყურებთ. ასეთი დუღილი და მაღალი პოლიტიკური ტემპერატურა თითქმის ყოველთვის იყო, ლეიბების ქუჩაში გამოტანით დაწყებული, საკნებისა თუ კარვების პირდაპირ რუსთაველის გამზირზე გაშლით დასრულებული. ლეიბები იმიტომ გამახსენდა, რომ ცოტა ხნის წინ თაკო ჩარკვიანმა ერთ-ერთ გამოსავლად ქუჩაში დაყრილი ლეიბები შემოგვთავაზა.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი გვინახავს, მაგრამ უსასრულო არაფერი არ ყოფილა, მაშინაც კი, როდესაც მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა საპროტესტო აქციებს, მხარს უჭერდნენ საკნების ქალაქს, რომელიც რუსთაველზე იყო გაშლილი. მაშინ სააკაშვილმა, რომელიც ხელისუფლებაში იყო, ამ პროტესტის სრული იგნორირება მოახდინა და შედეგად მოხდა ის, რომ ოპოზიციის ამ პროტესტმა მუხტი დაკარგა. ნებისმიერ პროტესტს სჭირდება ემოციური მუხტი. ემოცია გაჭიანურებას ვერ იტანს, დიდ ხანს ვერ გრძელდება.

თუ პარალელს გავავლებთ და დღევანდელ დღეზე გადმოვიტანთ, ახლა ემოციური პიკია. ემოციური მუხტი ადვილად ამოვიდა წინა პლანზე, მაგრამ, როგორც გითხარით, დიდ ხანს ვერ გასტანს ეს მუხტი. ამ მუხტის შენარჩუნება ოპოზიციას გაუჭირდება, თან აშკარაა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის ქუჩაში პროტესტის მომხრე. გადაივლის პროტესტების ტალღა და, ვფიქრობ, პოლიტიკურ პროცესებს სხვა ფორმა მიეცემა.

***– ოპოზიციას ტაქტიკა უნდა შეეცვალა? საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული, არაერთი საპროტესტო გამოსვლა, აქცია ვნახეთ, მაგრამ შედეგი არ დგება. თავიანთ ქმედებაში კორექტივები აქვთ შესატანი?***

– სიმართლე გითხრათ, 2012 წლიდან მოყოლებული, ველოდებოდი, რომ ოპოზიცია, კონკრეტულად კი ნაციონალური მოძრაობა შეიცვლებოდა. რომ შეცვლილიყვნენ, დღეს ბევრად უფრო წელში გამართული იქნებოდნენ. ვერა და ვერ შეელივნენ აგრესიულობას. რატომღაც მოლოდინი მქონდა, რომ ამ სტილზე უარს იტყოდნენ, მაგრამ ვერა, ოპოზიციიდანაც აგრესიულები არიან. სწორედ იმას აძლიერებენ, რის გამოც მათ უარი უთხრეს ადამიანებმა. იგივე აგრესიული სახეები, იგივე ქმედებები. მერე უკვირთ, უფრო მეტი ხალხი რატომ არ გამოდისო. რასაკვირველია, მათი ტაქტიკა შეცდომაა. როგორ შეიძლება, არჩევნები მოეგოთ, როდესაც იმავე სტილის გამო წააგეს თავის დროზე.

***– დანარჩენი ოპოზიცია?***

– მე ვსაუბრობ ნაციონალურ მოძრაობაზე, როგორც მსხვილ ძალაზე. რაც შეეხება დანარჩენებს, მაგალითად, გახარიას პოლიტიკურ ძალას, „პატრიოტთა ალიანსს“, ესენი არ ჩანან.

***– რით ხსნით, რომ გახარია არ ჩანს?***

– ახსნას ვერ ვუძებნი. სრულიად გაუგებარია, რატომ არ ჩანან. თუ ასე გააგრძელეს, მაშინ მესამე ცენტრისა და ალტერნატივის განცდა კი არა, ხალხს გაუჩნდება აზრი, რომლის მომწიფებასაც ხელს უწყობს ხელისუფლება, რომ ნაციონალური მოძრაობის სატელიტები არიან. მე იმ ადამიანთა რიგს ვეკუთვნი, რომელთათვისაც არ იყო დამაჯერებელი, რომ გახარია ნაციონალების სატელიტია, მაგრამ მოქმედების ლოგიკაა ყოველთვის გადამწყვეტი და არა ის, ვინ რას იტყვის. ასეთი ნეიტრალური პოზიციით შორს ვერ წავლენ. ნეიტრალიტეტსაც აქვს ფორმა. შეუძლიათ, ერთიც გააკრიტიკონ და მეორეც. რაღაც ღიმილისმომგვრელი სიჩუმეა. შეშინებული ბავშვები ჩუმად რომ არიან, უფროსები რომ არ გააბრაზონ, დაახლოებით ისეთი სურათი გვაქვს.

თუ პოლიტიკური ძალა და პოლიტიკოსი ხარ, შენი სათქმელი ყოველთვის უნდა თქვა. შენს მხარდამჭერებს მაინც უნდა უთხრა, რა პოზიცია გაქვს და სად ხედავ გამოსავალს. აბა, რის პოლიტიკოსი ხარ?! თუ იმას ელოდებიან, როდის გაირკვევა სიტუაცია და მერე ჩაერთვებიან პროცესებში, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს თავის განზრახვაში, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკა და ასე ვერანაირ შედეგს ვერ მიიღებენ. ახლა ყველაზე კარგი შესაძლებლობა აქვთ, რომ სიტუაციის განმუხტვაში თავიანთი როლი ითამაშონ და საზოგადოებას გამოსავალი შესთავაზონ. მეტიც, ამით მართლა შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ შესწევთ ძალა, იყვნენ მესამე პოლუსი. ყოველთვის რატომ უნდა იყოს ჩართული პროცესებში საერთაშორისო საზოგადოება, დასავლეთი? შეიძლება, იყვნენ ქვეყანაში ძალები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ თავზე რაღაც პასუხისმგებლობის აღება, ასეთი ჯახის დროს შუამავლის ფუნქციის შესრულება. ამაზე, როგორც ჩანს, არც არავინ ფიქრობს. უნდა ვისწავლოთ შიგნით პრობლემის მოგვარება და ეს ჩვენივე ძალებით უნდა ვქნათ, მაგრამ ამას გაცნობიერება სჭირდება.

***– თქვენ რით ხსნით ხელისუფლების სწორედ ასეთ დამოკიდებულებას მიხეილ სააკაშვილისადმი?***

– თუ ლოგიკიდან გამოვალთ, დღეს ყველაზე მეტად ხელისუფლებას არ აწყობს სააკაშვილის განადგურება, მით უფრო ციხეში, ასე ვთქვათ, მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. პირიქით, გაფაციცებით უნდა უყურებდეს იმას, რომ ბეწვი არ ჩამოუვარდეს თავიდან. დღეს ხელისუფლებას სააკაშვილის გადარჩენის, ჯანმრთელობის მოტივაცია ბევრად უფრო მეტი აქვს, ვიდრე სხვა ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას.

# ნიკა მელია: „რეჟიმს მშვიდობიანი აქციებით გავტეხავთ“



– ჩვენ ამ რეჟიმს მშვიდობიანი, უწყვეტი, თანმიმდევრული, დისციპლინირებული აქციებით გავტეხავთ. აქციები გაიმართება ყოველდღე – არავინ არ დაიხევს უკან.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიამ გუშინ, 10 ნოემბერს, ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ახლა საჭიროა სიმტკიცე და რეჟიმი განწირულია მარცხისთვის.

– ჩვენ კიდევ ერთხელ, მორიგ ჯერზე ვიხილეთ რეჟიმი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის იმედზეა, მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავე პოლიციელების იმედზეა, მხოლოდ და მხოლოდ ძალის იმედზეა და რატომ? იმიტომ, რომ სიმართლე აღარ არის მათ მხარეს უკვე დიდი ხანია იმიტომ, რომ ისინი აცნობიერებენ არჩევნები არის მიტაცებული და ხელისუფლება აქვთ მიტაცებული.

ისინი იძულებულები არიან ყოველდღიურად მეტი და მეტი ძალადობა გამოაჩინონ უკიდურესად მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ და ჩვენ სწორედ ასეთი სურათი ვნახეთ აქციების დაწყებამდე. ამ წუთის მდგომარეობით, 46 მშვიდობიანი აქციის მონაწილეა დაკავებული და სხვადასხვა ქალაქში ჰყავთ გადაყვანილი, მათ შორის, საკრებულოს დეპუტატები, პოლიტიკოსები, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქციები, საპროტესტო მოძრაობა შეწყდება. პირიქით, ყოველდღე გაიზრდება და ჩვენ ამ რეჟიმს მშვიდობიანი, უწყვეტი თანმიმდევრული, დისციპლინირებული აქციებით გავტეხავთ, – განაცხადა ნიკა მელიამ.

როგორც მელიამ აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილი ბრძოლის სიმბოლოა და ბრძოლა ყოველდღიური იქნება.

– მიხეილ სააკაშვილი იცოცხლებს, იქნება ცოცხალი, ჯანმრთელი და მალე თავისუფალი. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მომავლის სასარგებლო მხარეს ვდგავართ. ამიტომ, რაც არ უნდა პატიმრების, ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის მკვლელობის მცდელობით იყოთ დაკავებულები, ხელს ვერ აგვაღებინებთ ამ ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის ბრძოლაზე. ვერ აგვაღებინებთ, მორჩა და გათავდა, უნდა შეეგუოთ. თითოეული ჩვენგანი უნდა შევეგუოთ, რომ ბრძოლა ყოველდღიური და ყოველსაათობრივი იქნება, – დასძინა ნიკა მელიამ.

# ილია დარჩიაშვილი: „გლობალური კორუფციის ინდექს 2021“-ის შესაბამისად, საქართველომ საკუთარი მდგომარეობა 9 ადგილით გააუმჯობესა“



– შვეიცარიული საერთაშორისო ანალიტიკური კომპანიის მიერ „გლობალური კორუფციის ინდექსი 2021“-ის შესაბამისად, საქართველომ 9 ადგილით გააუმჯობესა საკუთარი პოზიცია, რაც მნიშვნელოვანი და ხელშესახები შედეგია საქართველოსთვის.

ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ილია დარჩიაშვილმა „გლობალური კორუფციის ინდექს 2021“-ის შეფასებისას განაცხადა, რომლის თანახმად, საქართველო 9 ადგილით დაწინაურდა და მსოფლიოს საუკეთესო მეოთხედში 41-ე ადგილზეა.

ილია დარჩიაშვილის თქმით, მსოფლიო საინვესტიციო რუკაზე საქართველოს ცნობადობისა და ქვეყნისადმი მიზიდულობის გაზრდის თვალსაზრისით საერთაშორისო კვლევები და რეიტინგები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის განვითარებაში.

– აღნიშნული კვლევის მიხედვით, საქართველო გამოირჩევა კვლევაში მონაწილე ნატოს და ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მიერ მიღწეულ შედეგებთან მიმართებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იმპულსია, რათა ქვეყანაში გაგრძელდეს რეფორმების ახალი ფაზა ანტიკორუფციული თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, – აღნიშნა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა.

მსოფლიოს მოწინავე ანალიტიკურმა ცენტრმა, შვეიცარიულმა ორგანიზაცია Global Risk Profile (GRP) „გლობალური კორუფციის ინდექსი 2021“ (GCI) გამოაქვეყნა. რეიტინგში საქართველო 9 ადგილით დაწინაურდა, მსოფლიოს 196 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საუკეთესო 25%-ში მოხვდა, მსოფლიოში 41-ე ადგილზე დასახელდა, მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის 40 საუკეთესოში კი 38-ე პოზიციაზე გავიდა.

კორუფციისაგან თავისუფლებით საქართველომ გაუსწრო ევროკავშირისა და ნატოს წევრ 9 სახელმწიფოს.

# „ოცნების“ წევრი დავით კამლაძე დააკავეს



სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით თანხის მითვისებისა და თაღლითობის ფაქტზე „ქართული ოცნების“ წევრი დავით კამლაძე დააკავეს.

მძიმე დანაშაულში ბრალდებული კამლაძე მმართველი პარტიის ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბეჟან წაქაძის ბიუროს ხელმძღვანელია.

გავრცელებული ინფორმაციით, კამლაძეს ხელბორკილი, სავარაუდოდ, სწორედ „ოცნების“ ოფისში დაადეს.

ზესტაფონის მერიაში, სადაც ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროა განთავსებული, ტვ პირველს ჯერ კამლაძის დაკავების ფაქტი არ დაუდასტურეს, შემდგომში კი განაცხადეს, რომ დაკავება აღნიშნულ შენობაში არ მომხდარა.

# გიორგი ვაშაძე: „დაარღვევენ, მე მივალ და დავშლი. თუ კაცი კვდება, მზად ვარ, მეც ვიკისრო პასუხისმგებლობა“

„დაარღვევენ, მე მივალ და დავშლი, ვეტყვი აქციაში მონაწილეებს, წაეთრიეთ აქედან– მეთქი“, – ასე უპასუხა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ნაციონალური მოძრაობის განცხადებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას, რომლის თანახმადაც, პარტია სრულ პასუხისმგებლობას იღებს, რომ საპროტესტო აქციები არ გაიმართება იმ საავადმყოფოს გარეთ ან მის მიმდებარედ, სადაც საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იქნება გადაყვანილი

გიორგი ვაშაძის თქმით, ამ კონკრეტულ საკითხზე იგი მზად არის, თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს.

„დაარღვევენ, მე მივალ და დავშლი, ვეტყვი აქციაში მონაწილეებს, წაეთრიეთ აქედან-მეთქი. თუ კაცი კვდება და საჭირო გახდა, ყველამ უნდა ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და მზად ვარ, არ გამიჭირდება, მეც ვიკისრო ეს პასუხისმგებლობა. ხომ არ უნდა დავკარგოთ ყველაფერი?! ბედნიერებას არ მოუტანს ამ ქვეყანას მიხეილ სააკაშვილის გარდაცვალება, უბედურებას მოუტანს – ეს უნდა გავიაზროთ. ცეცხლთან თამაშია ეს, ბეწვის ხიდზე გავდივართ“, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მისივე შეფასებით, „ქართულმა ოცნებამ“ გლდანის №18 პენიტენციარულ დაწესებულებაში ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაყვანით ვითარების დაძაბვას შეუწყო ხელი.

# გიული ალასანია: „თვალწინ მიკლავენ ერთადერთ შვილს... დაგვეხმარეთ, გადავარჩინოთ ეს სიცოცხლე!“



„მივმართავ ყველას, დამეხმარეთ, დაგვეხმარეთ... ნუ დაუშვებთ, რომ მოგვიკლან თვალწინ ადამიანი, რომელმაც შეგვიქმნა სახელმწიფო, წარმატებული სახელმწიფო შეგვიქმნა“.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია, გავრცელებულ ვიდეომიმართვაში საუბრობს.

„უმძიმესი მდგომარეობა მაქვს. თვალწინ მიკლავენ ერთადერთ შვილს... მივმართავ ყველას, დამეხმარეთ, დაგვეხმარეთ. მივმართავთ კიდევ ერთხელ ყველას, ნუ დაუშვებთ იმას, რომ მოგვიკლან ასე თვალწინ ადამიანი, რომელმაც შეგვიქმნა სახელმწიფო, წარმატებული სახელმწიფო შეგვიქმნა.

რა არის მისი დანაშაული? ის, რომ უყვარს თავისი ქვეყანა, ის, რომ არის თავისი ქვეყნის პატრიოტი, რამაც ჩამოიყვანა თავის ქვეყანაში, ყველაფრის მიუხედავად, ამ საშიშროების მიუხედავად, რომელიც ნათელი იყო, რომ ელოდება.

ძირითადი მისი დანაშაული ვიცით, რა არის, რომ 2008 წელს მან უბრძოლველად არ ჩააბარა თავისი საყვარელი ქვეყანა აგრესორს, რომელმაც მანამდე მოასწრო და მიიტაცა ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი.

ძალიან გთხოვთ. ვიცი, ყველაფერი კეთდება. ყველა ადამიანი აკეთებს შესაძლებელსა და შეუძლებელს, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მეტია საჭირო. გადავარჩინოთ ეს სიცოცხლე. ძალიან გთხოვთ“, – ამბობს გიული ალასანია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილის საქმეზე ობიექტურობის ილუზია ნუ გვექნება“

## მამუკა ახვლედიანი: „პატიმრის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება სხვა არ მინახავს... აი, ასეთი საქმეებისთვის სჭირდებოდათ დისკრედიტებული სასამართლო სისტემა“

იაგო ნაცვლიშვილი

**გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის პირველი სასამართლო პროცესი გაიმართა, ოღონდ ისე, რომ მესამე პრეზიდენტს მასზე დასწრების უფლება არ მისცეს. ეს მაშინ, როცა ამას თავად ითხოვდა. პენიტენციარული დეპარტამენტის განცხადებით, მისი უსაფრთხოდ გადაყვანა გაუჭირდებოდათ. სასამართლოზე სააკაშვილს არც ონლაინჩართვის შესაძლებლობა მისცეს. სასამართლომ დაცვის მხარის კიდევ ერთი შუამდგომლობა არ გაითვალისწინა, რომ პროცესი „ლაივ“ რეჟიმში გაშუქებულიყო. პროცესი 29 ნოემბერს განახლდება.**
**რა აჩვენა გუშინდელმა დღემ და გააჩინა თუ არა მოლოდინი პროცესმა, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკური მოტივაციით იქნება ნაკარნახევი? — ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი საუბრობს.**

***— სააკაშვილის გუშინდელმა პროცესმა სასამართლოს რა გამოწვევები დაგანახათ მორიგ ჯერზე?***

— მიხეილ სააკაშვილის მიმართ რაც ხდება, ერთმნიშვნელოვნად წარმოუდგენელია. პოლიტიკური ნიშნის გარდა, არ არსებობს სხვა მიზეზი, რის გამოც ასე შეიძლება მოექცე პატიმარს. მე არ მინახავს მსგავსი დამოკიდებულება პატიმრის მიმართ, რასაც სახელმწიფო სტრუქტურები ავლენენ და პლუს სასამართლო — ამდენი ხანია, პროცესი არ ჩატარებულა. მათ არ აქვთ ამის უნარი. მოსამართლეთა ამ ჯგუფისგან რა გადაწყვეტილებასაც უნდა ველოდოთ, გასაგებია, როდესაც მოსამართლეები გადაწყვეტილებას პროცესის დანიშვნასთან დაკავშირებითაც კი ვერ იღებენ.

შესაძლოა, ვინმემ შექმნას ილუზია, რომ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას მიიღებენ ეს მოსამართლეები, მაგრამ ვიცით, რომ სასამართლო არა მხოლოდ დამოუკიდებელი უნდა იყოს, არამედ აღქმაც უნდა იყოს მის მიმართ ასეთი, რომ დამოუკიდებელი უნდა იყოს. ასეთი აღქმა ჩვენ ქვეყანაში არ არსებობს. ამ ეტაპზე პრეზიდენტის გასამართლება ამ ტიპის სასამართლოთი ყოვლად წარმოუდგენელია. ეს არ შეიძლება, არც ერთ სამართლებრივ ჩარჩოში არ ჯდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების კიდევ უფრო მკვეთრ რეაქციას ველოდები, რადგანაც წარმოუდგენელი რამე ხდება. თუ წარმოვიდგენთ თეორიულად წამებას, ფაქტობრივად ყველაფერს ახორციელებენ, როგორც ფსიქოლოგიურს, ისე ფიზიკურს. აქ არა აქვს მნიშვნელობა, ვინმე დამნაშავეა თუ უდანაშაულო. ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ნებისმიერ კომბინაციაში ასეთი დამოკიდებულება, უბრალოდ, წარმოუდგენელია. სახეზეა უღირსი და არაადამიანური დამოკიდებულება. ყველა ის სიტყვა, რაც შეიძლება, ამ კონტექსტში იყოს გამოყენებული, ყველაფერი გამოიყენეს მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

ადამიანი თვე-ნახევარია დაკავებულია და, თუ ინტერესი აქვს სახელმწიფოს, მით უმეტეს, როდესაც არის პოლიტიკური მღელვარება და პროცესებს იწვევს ადამიანის დაკავება, მაშინ, პირიქით, სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, რომ სწრაფად ჩატარდეს პროცესები და გარკვეული იყოს საკითხები მის მიმართ, მაგრამ არა, პროცესიც კი არ ჩატარებულა. გუშინ რაც ჩატარდა, ეგ იყო ფორმალურად ჩატარება და ფორმალურად ხდება მისი განხილვა.

***— რატომ აჭიანურებენ პროცესს? რა შთაბეჭდილება გიჩნდებათ?***

— მათ არ აქვთ უნარი, პროცესები ჩაატარონ და, უბრალოდ, პოლიტიკურ პროცესებს ელოდებიან. რატომ სჭირდებოდა სასამართლო ხელისუფლებაში დისკრედიტებული სასამართლოს თემა დღევანდელ მოქმედ ხელისუფლებას? სწორედ ასეთი საქმეებისთვის, რათა მათ უსიტყვოდ შეასრულონ ყველა ის დავალება, რომლებიც მათ სჭირდებათ. აკეთებენ ისე, თითქოს ფორმალურად ყველაფერს ატარებენ, მაგრამ სინამდვილეში ყველამ ვიცით, რომ პროცესები, რომლებიც ახლა ხდება, მეორე-მესამე დღესვე უნდა მომხდარიყო. ამ შემთხვევაში ჩართვაც შესაძლებელი იყო. წარმოუდგენელია, სახელმწიფო აღიარებდეს, რომ მას არ აქვს რესურსი, დაიცვას ის შენობა, სადაც მნიშვნელოვანი პროცესი უნდა ჩატარდეს. როდესაც სახელმწიფო ამას ამბობს, წარმოუდგენელი პროცესია.

***— ადვოკატებმა სააკაშვილის ონლაინჩართვის შუამდგომლობა დააყენეს, მაგრამ სასამართლომ უარი თქვა. სააკაშვილის „ლაივ“ ჩართვისაც ასე ეშინიათ?***

— სამწუხაროდ, ასე ჩანს, რომ ამწუთში სააკაშვილს ებრძვის ის ნაწილი. წლების წინ რასაც ადამიანები აპროტესტებდნენ, სწორედ ის ნაწილი დგას დღეს სააკაშვილის წინააღმდეგ, სწორედ ის ხალხია გამაგრებული ამ პოზიციებზე, იქნება სასამართლო, პროკურატურა, სასჯელაღსრულება თუ სხვა, ის ბინძური ნაწილი და მათ აშინებთ პოლიტიკური ცვლილებები. მათ აწყობთ ამ სისტემაში ცხოვრება.

***— ვინც სააკაშვილის მმართველობას ებრძოდა, ისინი არიან დღეს სისტემაში? სწორად გავიგე?***

— არა, პირიქით. რაც იყო იმ პერიოდში შეცდომა, ყველა ის შეცდომა გადმოიტანეს და აამოქმედეს ახლა სააკაშვილთან მიმართებით. სასამართლო, პოლიცია, სასჯელაღსრულების სისტემა, საარჩევნო სისტემა... რაც არ იყო დახვეწილი და ბოლომდე მიყვანილი, ყველა ის პრობლემური საკითხი... თუნდაც რა პრეტენზიებიც არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, გაასმაგებული დარღვევებით ხდება ეს და ზუსტად იმავე ხალხის მიერ, ვინც იყვნენ ადრე. მათ არ უნდათ ცვლილებები, რადგანაც იციან, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

***— უკვე ყველაფრით გადაასწრო ამ ხელისუფლებამ წინა მმართველობის შეცდომებს?***

— სამწუხაროდ, დიდი ხანია, ასეა. აბსოლუტურად სხვა განწყობები არსებობდა. იმ შეცდომების მიზეზი, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს იყო დაშვებული, სხვა იყო, თუნდაც გამოუცდელობით და ა.შ. და, შესაძლოა, გეგონოს, ასე ჯობდეს, მაგრამ ახლა ეს პრობლემა ყველას კარგად ესმის — სასამართლოსაც, პროკურატურასაც და ახლაა პრობლემა, რადგან ახლა უკვე მორალზე ამბობენ უარს. წინა შემთხვევაში თუ შეცდომად შეიძლება ჩათვლილიყო, ახლა უფრო მძიმე ვითარებაში ვართ, რომ ისინი უკვე მორალზეც უარს ამბობენ. ქვეყანაში აღარ არის აღქმა, რომ სახელმწიფო არსებობს, რადგან თვითნებობაზეა გადასული და ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას ძალაზე დაყრდნობით ცდილობს.



***— აღნიშნეთ, თავიდანვე ჩანს, ეს ობიექტური გადაწყვეტილება არ იქნებაო. თუ სხვა საქმეებზე მცირე ილუზია მაინც გვქონდა, მოსამართლე მაინც გაითვალისწინებს საზოგადოებრივ პროტესტს და, შესაძლოა, ობიექტური გადაწყვეტილებაც კი მიიღოსო, ამ შემთხვევაში ეს ილუზიაც აღარ არსებობს?***

— სასამართლო სისტემაში ჭაობი იმდენად გაზრდილია, რომ შეუძლებელია, ეს ყველაფერი მართვადი პროცესი არ იყოს. მე კარგად ვიცნობ ამ სისტემას და ზუსტად ვიცი, რასაც ვამბობ. უხილავი ძაფით გადაბმული იმდენი ბერკეტი არსებობს, რომ შეუძლებელია, ასე არ მოხდეს. მე მაინც მაქვს იმედი, რომ გონს მოეგებიან და ბევრი მოსამართლე ისაუბრებს იმ პრობლემებზე, რომლებიც სასამართლოშია. იმის იმედიც მაქვს, რომ ეს მოსამართლეები კიდევ უფრო მხარდაჭერილები იქნებიან სასამართლოს გარედან, რათა მეტმა მოსამართლემ მიიღოს თავისუფალი გადაწყვეტილება, მაგრამ ამ ტიპის სისტემაში ეს შეუძლებელია.

ნუ გვექნება პიროვნებების იმედი. თუ სისტემა არ შეიცვალა, სისტემური ცვლილების გარეშე ამ ყველაფერს პიროვნებები ვერ შეცვლიან. ეს შეუძლებელია. სახელები და გვარები შეიცვლება და მუდმივად ერთი და იგივე მოქმედებები იქნება. თუ სასამართლო სისტემა არ გაიმართა, ეს ქვეყანა ვერ გაიმართება. დამოუკიდებლობის შემდეგ მთავარი პრობლემა სასამართლო სისტემაა. როგორც კი სასამართლო სისტემა ნდობას დაიბრუნებს, ეს ქვეყანაც ნდობას დაიბრუნებს. ამწუთში, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს არც სასამართლო სისტემის მიმართ აქვთ ნდობა და არც ქვეყნის.

# „სააკაშვილს დაზიანებები აღენიშნება, წამლებს აღარ იღებს. ასე გაგრძელება შეუძლებელია“

## „გლდანის ციხეში არავითარი აპარატურა არ მინახავს“



საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირადი ექიმის განცხადებით, მას დაზიანებები აღენიშნება.

როგორც ნიკოლოზ ყიფშიძემ გლდანის მე-18 პენიტენციარული დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მიხეილ სააკაშვილი უარს ამბობს მედიკამენტების მიღებაზე.

— ახლა ტარდება სამედიცინო კვლევები, ჯერ არ დამთავრებულა. მე ადრე გამოვედი, რადგან ჩემი საქმე დასრულდა. ასე რომ, სხვებიც მალე გამოვლენ. გარეგანი დათვალიერება უტარდება. აქვს დაზიანებები. რა დაზიანებები აქვს, არ ვილაპარაკებ ამაზე. სხვადასხვა ნაწილში შევამჩნიე დაზიანებები ჩემი თვალით.

ერთს გეტყვით, რომ სუსტად არის, მაგრამ ემზადებოდა დღევანდელ სასამართლოზე გამოსვლისთვის, ფიქრობდა, რომ მისცემდნენ უფლებას, გამოსულიყო. არ გამოვიდა ეს და უკმაყოფილოა.

მედიკამენტებს არ იღებს, ტესტები ავიღეთ, ტესტების გარკვეული ნაწილი არის უარესი, რაც მოსალოდნელი იყო. აქ მკურნალობას ჩვენი პრეზიდენტი არ გადის. მდგომარეობა არ არის კარგი და ასე გაგრძელება შეუძლებელია. ჩემი მთავარი რეკომენდაციაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავიყვანოთ ისეთ მრავალპროფილურ საავადმყოფოში, სადაც შესაძლებელი იქნება მისი მკურნალობა.

ჩვენ ვაკეთებთ იმიტაციას ამ მოძრაობების, ვითომ კონსილიუმს ვხვდებით, ვლაპარაკობთ მისი ჯანმრთელობის შესახებ, ტელევიზიები დღე და ღამე აშუქებენ, რა იქნება. ამ დროს ყველამ მშვენივრად იცის, რით დამთავრდება ეს ყველაფერი. დამთავრდება ერთით — სიკვდილით. სხვა გამოსავალი აქ არ არის.

ბევრი მეუბნება, რატომ აბუქებო. ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე. დაახლოებით ორი კვირის წინ ვთქვი იგივე. ფიზიკურად ძალიან ძლიერია და გაუძლო ეს ორი კვირა. კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს, ვერ გეტყვით. აქ შევხვდი მთავარ ექიმს, ამ ციხის საავადმყოფოს დირექტორს და მორჩა — არავითარი აპარატურა არ მინახავს, პრეზიდენტს შევხვდი სპეციალურ ოთახში, — განაცხადა ნიკოლოზ ყიფშიძემ.

# ელენე ხოშტარია: „ძალიან საშიში ვითარება შემექმნა და ამიტომ გადასხმა მივიღე“



— ანალიზებით რამდენიმე მაჩვენებელი იყო იმდენად საშიში, რომ საჭირო იყო გადასხმა. მე გუშინ მივიღე პირველი გადასხმა.

ამის შესახებ გუშინ, 10 ნოემბერს, „დროას“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

— მე თავს ვგრძნობ კარგად. ექიმების რჩევით მივედი გადაწყვეტილებამდე, რომ მივიღებ სამედიცინო ჩარევას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასიცოცხლო პარამეტრებს შეექმნება საფრთხე. ანალიზებმა აჩვენა, რომ რამდენიმე მაჩვენებელი იყო იმდენად საშიში, საჭირო იყო გადასხმა. მე გუშინ მივიღე პირველი გადასხმა, ოღონდ, ხაზგასმით ვამბობ, არ გავიკეთებ არც ერთ გადასხმას, რომელიც გააუმჯობესებს ჩემს მდგომარეობას, გავიკეთებ მხოლოდ იმ გადასხმას, რომელიც აგვარიდებს ან ლეტალური შედეგის დადგომას, ან გონების დაკარგვას, — განაცხადა ხოშტარიამ.

ხოშტარია ამბობს, რომ უმრავლესობის დეპუტატების, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის მადლობელია.

— კომუნიკაცია მეტი აღარ ყოფილა. ძალიან გამიხარდა, რომ წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ენძელა მაჭავარიანი შემეხმიანა. კომუნიკაცია აღარ ყოფილა და ის ვერც გასცდება მოკითხვას. მე არ მაქვს ილუზია, რომ დეპუტატები, რომლებიც აქ მოდიან, იღებენ გადაწყვეტილებებს. ამიტომ ადამიანურ მოკითხვაზე ყველას მადლობელი ვარ.

ყველას მადლობელი ვარ, ვინც მოდის, კახა კუჭავას მადლობელი ვარ, რომ აქ სამედიცინო ბრიგადა მუდმივად არის, არც ოჯახის წევრებს, არც ჩემს მეგობრებს შეფერხებები არ აქვთ, ამისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ სიტუაციის რეალური განმუხტვა სააკაშვილის კლინიკაში გადაყვანაა, — განაცხადა ხოშტარიამ.

# პრემიერ-მინისტრმა მუნიციპალიტეტების მერებთან სამომავლო პრიორიტეტები განიხილა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულ მერებს შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას მერებთან ერთად რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულები ესწრებოდნენ.

პრემიერ-მინისტრმა მერებს არჩევნებში გამარჯვება კიდევ ერთხელ მიულოცა და მათთან სამომავლო პრიორიტეტებზე ისაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებს ცენტრალური მთავრობის მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა, რათა ის პროექტები და ინიციატივები, რომლებზეც საუბარი იყო წინასაარჩევნო კამპანიისას და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად მოკლე ვადაში განხორციელდეს.

პრემიერმა არჩეულ მერებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა ცენტრალური მთავრობის მზადყოფნა, ჩაერთოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ნებისმიერი საკითხის გადაჭრაში.

ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო რწმუნებულებს მერებთან აქტიური კოორდინაცია დაავალა და მერებს მოუწოდა, მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეთ მოსახლეობასთან, რათა მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებული მათი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ და ყველა პრობლემა მოქალაქეებს დროულად და ეფექტურად გადაუჭრან.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ასევე მიწვეული იყო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი გია ხარჩილავა.

# „სააკაშვილი გლდანის ციხეში პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად გადაიყვანეს“

## ლევან ჩაჩუა: „გახარიას პროექტი ჩავარდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერს ლევან ჩაჩუას.**

***– როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას, არის კრიზისი?***

– ქვეყანაში შექმნილია მწვავე მრავალმხრივი კრიზისი – პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი. გრძელდება კინკლაობა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ეს კინკლაობა უკვე კლოუნადაში გადაიზარდა და საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას ძალიან მობეზრდა. ერთი სისტემის შემადგენელი ქოცები და ნაცები აგრძელებენ ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევას. გარდა ამისა, მმართველ პარტიასა და ოპოზიციაში შიდაკონფლიქტებია. „ოცნებაში“ არსებობს კალაძის, ძალოვნების, ასევე კობახიძე-თალაკვაძის კლანები. ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია დაშლილია, ნაცმოძრაობაშიც არ არის თანხმობა. მოვლენები ვითარდება „დაყავი და იბატონეს“ პრინციპის მიხედვით. მთელი ყურადღება გადატანილია იმაზე, რაც ხალხს მობეზრდა, ხალხის ნამდვილ პრობლემებზე კი არავინ ზრუნავს. ქოცების, ნაცების, ევრონაცების, გირჩინაცების, „სტრატეგია-ალმაშენებელინაცების“ კინკლაობას ემატება არაპოლიტიკოსების კონფლიქტები.

***– რას გულისხმობთ?***

– დღეს საზოგადოება დაყოფილი და დაპირისპირებულია, რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას. ქოცებად და ნაცებად დაყოფას ემატება საზოგადოების დაშლა აცრილებად და აუცრელებად. ბევრი ადამიანი ამ ნიშნით უპირისპირდება ერთმანეთს. ასე რომ, პოლარიზაციამ მოიცვა ყველაფერი. ეს სახიფათოა და ქმნის არასტაბილურობას.



**„აცრაზე 200-ლარიანი ვითომ წახალისება დიდი მზაკვრობა და უსამართლობაა“**

***– სააკაშვილის გლდანის ციხეში გადაყვანის შემდეგ უფრო დაიძაბა ვითარება?***

– რასაკვირველია. სააკაშვილი გლდანის ციხეში გადაიყვანეს პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად. ყველამ უნდა ილაპარაკოს ნაცებზე, ქოცებზე, მათ დაპირისპირებაზე. ნამდვილი პრობლემები უნდა გადაიფაროს. დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი საქართველოში საკუთარი ინიციატივით არ ჩამოსულა. ეს გადაწყვიტეს იმათ, ვინც 30 წელიწადია მართავს პროცესებს საქართველოში. სააკაშვილი თავს არ გაწირავდა. მისი გამოგზავნა და ციხეში ყოფნა წინასწარ იყო დაგეგმილი. სააკაშვილის სახელი ყოველი არჩევნების წინ გამოიყენებოდა. სულ იყო საუბარი მის ჩამოსვლაზე. ეს ტაქტიკა მუშაობდა იმ თვალსაზრისით, რომ ხელს უწყობდა ნაციონალური მოძრაობის, ასევე „ქართული ოცნების“ ამომრჩევლების მობილიზაციას და ამაგრებდა ორპარტიულ სისტემას. ბოლოს გაუჭირდათ და სააკაშვილი ჩამოიყვანეს. შთამბეჭდავი შედეგი ამითაც ვერ მიიღეს, მეორე ტურში კი ნონსენსი გამოიკვეთა.

***– კერძოდ?***

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში, ოფიციალური მონაცემებით, მოვიდა დაახლოებით 52%. მეორე ტურში, ტრადიციულად, მეტი ამომრჩეველი მოდის. 30 ოქტომბერს ასე არ მოხდა. მოვიდა 3%-ით ნაკლები, ვიდრე პირველ ტურში. ეს ნიშნავს სისტემის კრახს. ეს არის იმის ხაზგასმა, რომ ხალხის ნახევარი ახალ ძალას ელოდება. ახალ ძალას და არა მესამე ძალას.

***– ნაცმოძრაობა აგრძელებს უწყვეტ აქციებს სხვადასხვა ადგილზე. პროტესტანტების მოთხოვნებია სააკაშვილის გათავისუფლება, მანამდე მისი შესაბამის კლინიკაში გადაყვანა, ასევე – ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამაზე რა მოსაზრება გაქვთ?***

– ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა. ნაცები და ქოცები ბევრ ძირითად საკითხზე შეთანხმებული არიან. ისინი ერთი მედლის ორი მხარეა. მათ ერთნაირი შეხედულებები აქვთ ქვეყნის საგარეო კურსზე, ეკონომიკის მიმართულებებზე, წიაღისეულის გასხვისების საკითხზე, ვაქცინაციაზე და სხვა. ხალხი თავისი პრობლემებით არც ერთს არ აწუხებს.

***– ექსპერტების აზრით, გახარიას პარტიამ არჩევნების შემდეგ დაიმკვიდრა მესამე ძალის ადგილი და სტატუსი.***

– ამას არ ვეთანხმები. გახარიას პროექტი ჩავარდა. ვინ მივიდა გახარიასთან და ვინ გახდა მისი მხარდამჭერი? ეს არის „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული ხალხი, რომელიც არასდროს იქნება ნაცმოძრაობის მხარდამჭერი. ასეთი ქვეყანაში ბევრია. ეს არის „ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერების ნახევარი. (დაახლოებით 25%). გახარიამ მიიღო მხოლოდ 7%. არადა, გახარიას პარტიაზე უზარმაზარი თანხები დაიხარჯა.

***– წინასაარჩევნოდ?***

– არა მხოლოდ წინასაარჩევნოდ. მყავს ახლობლები, რომლებიც უცხოურ მისიებს საარჩევნო უბნებზე დაჰყვებოდნენ არჩევნების დღეს. მათგან დადასტურებულად ვიცი, რომ გახარიას პარტიას თითოეულ უბანზე ორ-ორი დამკვირვებელი ჰყავდა. წარმოგიდგენიათ, მარტო მათ ხელფასებზე რამდენი დაიხარჯებოდა?! გახარია თავისი პარტიით სისტემას დასჭირდა და შემოიყვანეს. სისტემას ის მესამედ ძალად კი არა, პატარა ჭანჭიკად ესაჭიროებოდა.

***– გინდათ თქვათ, რომ მას პოლიტიკური მომავალი არა აქვს?***

– დიახ. გახარიას არანაირი პერსპექტივა არა აქვს. ის იყო არსებული ორპარტიული სისტემის პატარა რგოლი.

***– ვაქცინაციის გამო დაპირისპირება ახსენეთ. საზოგადოებაში 1 დეკემბრიდან დაანონსებული „მწვანე პასპორტებიც“ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.***

– ბევრი ადამიანი, რომელიც ლუკმის შოვნაზე ზრუნავს, ამბობს, არ წავალ ბარში და მწვანე პასპორტიც არ დამჭირდებაო. თავს ნუ მოიტყუებენ. გაივლის ცოტა ხანი და შეზღუდვები მარტო ბარებს, საკონცერტო დარბაზებსა და სათხილამურო კურორტებს არ შეეხება. დადგება დრო და სპეცსაშვის გარეშე პურს ვერ შევიძენთ. თუ ყველა ამგვარი გადაწყვეტილება გაავატარეთ, ამასაც გააკეთებენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პენსიონერების მოსყიდვის მცდელობა.

***– თუ პენსიონერი 1 იანვრამდე აიცრა, 200 ლარს მიიღებს. ამაზე საუბრობთ?***

– დიახ. ეს 200-ლარიანი ვითომ წახალისება დიდი მზაკვრობა და უსამართლობაა. პენსიონერებო, ის, ვინც 30 წლის განმავლობაში გძარცვავთ, ანაბრებს გართმევთ, მიწებს გისხვისებთ, ხელს უწყობს თქვენი შვილების განარკომანებას, პენსიის წინასწარ აღებისთვის 60%-ს გძალავთ, თქვენი ჯანმრთელობისთვის არ შეწუხდება. 30 წელიწადია, ერთი სისტემა მოქმედებს. ჯერ ერთი, ეს მზაკვრობაა. მეორეც, ჩვენ, გადამხდელებს, არ გვეკითხებიან?! ქვეყანაში 800.000 პენსიონერია. მათმა უმრავლესობამ რომ ამ პერიოდში მოინდომოს ვაქცინაცია, რა ეშველება ბიუჯეტს? ხალხი უარესად გალატაკდა. თბილისში ნაგვის ურნები გადანაწილებულია. ადამიანები ნაგავში იქექებიან და ურნებს ვერ იყოფენ. ბევრ მრავალშვილიან ოჯახს უჭირს. ამ დროს ხელისუფლება არიგებს 200-ლარიან „საჩუქრებს“ აცრის საფასურად. ეს ალმაშფოთებელია.

# „სააკაშვილის მიმართ ფსიქოლოგიური წნეხი ხორციელდება. ეს წამებაა“

## შალვა ხაჭაპურიძე: „საქართველოში ადამიანის უფლებებისადმი რუსულ-მონღოლური, საბჭოთა დამოკიდებულებაა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.**

***– ბატონო შალვა, გუშინ სააკაშვილის სასამართლო პროცესი იყო ჩანიშნული და, როგორც მოსალოდნელი იყო, ის სასამართლო დარბაზში არ მიიყვანეს – დასუსტებულია, მაღალი რისკებია და ასე შემდეგ. ასეთი იყო ხელისუფლების პოზიცია. როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის შეფასებები სააკაშვილის გარშემო განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით? უნდა ესწრებოდეს თუ არა მიხეილ სააკაშვილი საკუთარ სასამართლო პროცესს?***

– მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართლებრივად არის შემდეგნაირად: ბრალდებულს შეუძლია, არ დაესწროს სასამართლო პროცესს და მის გარეშე ჩატარდეს სასამართლო.

***– როგორც ცნობილია, სააკაშვილს სურდა პროცესზე დასწრება.***

– როცა თავად ითხოვს, დამასწარითო, მაშინ ყველა ვარიანტში უნდა დაასწრონ. თუ არ მიჰყავთ ბრალდებული პროცესზე გარკვეული მიზეზების გამო, მოსამართლემ უნდა გახსნას სხდომა, გამოაცხადოს მხარეები, პატიმრის გამოუცხადებლობის მიზეზი გაარკვიოს, არის თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან რაიმე წერილი, მიზეზი, რის გამოც არ ესწრება სხდომას ბრალდებული, განიხილოს ეს საკითხი და პროცესი გადადოს. ბრალდებულის გარეშე, თუ ის ითხოვს, დამასწარითო, როდესაც საუბარია პატიმარზე და გამოუცხადებლობის მიზეზსაც წერს, საყოველთაო ფაქტია, რომ შიმშილობს, მაშინ მოსამართლე უფლებამოსილი არ არის, ჩაატაროს პროცესი. თუმცა, არის კიდევ ერთი ვარიანტი – დისტანციურად შეუძლიათ, ჩაატარონ პროცესი. პანდემიის პირობებში ეს მიღებული ფორმაა, ოღონდ პატიმარმა ამის სურვილი უნდა გამოთქვას.

***– მწვავე საპროტესტო მუხტია, დედაქალაქი აქციებმა მოიცვა. ოპოზიცია და მესამე პრეზიდენტის მხარდამჭერები მოითხოვენ მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო სამედიცინო კლინიკაში გადაყვანას. რატომ გაჯიუტდა ხელისუფლება?***

– ამ პროცესებს აქტიურად ვადევნებ თვალს. მე გეტყვით, პრაქტიკაში როგორ ხდება ეს. როდესაც არის ამის საჭიროება, ანუ სასჯელაღსრულება ვერ უზრუნველყოფს პატიმრის კვლევას ან სამედიცინო მანიპულაციას, მაშინ ინოვას კლინიკაში გადაჰყავთ, უტარდება ეს სამედიცინო მანიპულაციები და შემდეგ აბრუნებენ უკან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ეს არის დადგენილი პრაქტიკა. მე სულ ორი კვირის წინ მქონდა შემთხვევა – ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი სამი პატიმარი შიმშილობდა. აქედან ორი გადაიყვანეს საავადმყოფოში. 25 დღე იშიმშილეს, ჩაუტარეს გარკვეული მანიპულაციები და შემდეგ დააბრუნეს, ანუ პრაქტიკაში ასეა, როცა პატიმარი მოშიმშილეა, პირველ რიგში ის გადაჰყავთ ცალკე საკანში, ე.წ. საშიმშილო საკანს უწოდებენ. არ უნდა განთავსდეს სხვა პატიმრებთან, რომლებიც საკვებს იღებენ. თუ შეხედავს სასჯელაღსრულება, რომ ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და თავად ვერ აგვარებს, მაშინ მიჰყავთ საავადმყოფოში.

***– ანუ ვერ უზრუნველყოფს გლდანის ციხის საავადმყოფო მოშიმშილე პატიმრისთვის შესაბამის მანიპულაციებს?***

– შეიძლება გითხრას სასჯელაღსრულებამ, მე ამას უზრუნველვყოფო, მაგრამ შიმშილობა ისეთი აქტია, ნებისმიერ დროს შეიძლება, რამდენიმე გართულება წამოვიდეს ერთდროულად და უცებ დამძიმდეს პატიმარი. ძალიან ბევრი გართულება შეიძლება მოჰყვეს და ამას ნებისმიერი ექიმი დაგიდასტურებთ.

***– იქით მიაგორეს ციხეში ტომოგრაფიის აპარატი და ეს რამდენად მიზანშეწონილი იყო?***

– ტომოგრაფიის აპარატის მიტანა „შერეკილების“ მეორე სერიიდან არის, ურმით რომ გაფრინდებიან. სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან სულ ამაზე ვდავობთ. ვთქვათ, ჩავატარეთ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და ექსპერტი ამბობს, რომ პატიმარი არის მძიმე ავადმყოფი, ნებისმიერ დროს შეიძლება დამძიმდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სასჯელაღსრულება ვერ უზრუნველყოფს მის მკურნალობას. ვერ ნახავთ ვერც ერთ შემთხვევას, შევარდნაძის შემდეგ მოყოლებული, რომ მოსულიყოს სასჯელაღსრულების წარმომადგენელი და ეთქვას, ჩვენ ამას ვერ მოვუვლითო, პირიქით, სულ ერთსა და იმავეს გაიძახიან, ჩვენ ამას ვუმკურნალებთო. სულ დაზეპირებულ ტექსტს იმეორებენ.

***– სააკაშვილის შემთხვევაში რა ხდება? გულის მოფხანის პოლიტიკა მიმდინარეობს? „ოცნება“ საკუთარ მომხრეებს სეირს აყურებინებს? რამდენად ჰქონდა ადგილი სააკაშვილის მიმართ უდიერ მოპყრობას? მთელი დასავლეთი, ევროპა, ამერიკა აღშფოთებულ მიმართვებს ავრცელებენ. რა იქნება?***

– აბსოლუტურად ვეთანხმები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და განსაკუთრებით ინტერნეიშელის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება, პოლიტიკური შურისძიება.



**„ტომოგრაფიის აპარატის მიტანა ციხის საავადმყოფოში „შერეკილების“ მეორე სერიაა, ურმით რომ გაფრინდებიან“**

***– პოლიტიკური კომპონენტი ამ ყველაფერში მაღალია?***

– რა თქმა უნდა. თუნდაც ის, რომ ამ ადამიანის შეყვანა იმ დაწესებულებაში, სადაც ირგვლივ განთავსებულია 4-5 კორპუსი და, სხვათა შორის, იქ სასჯელს იხდიან სააკაშვილის რეჟიმის დროს დაპატიმრებულები.

***– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფსიქოლოგიური წნეხია?***

– ზუსტად ფსიქოლოგიური წნეხია, წამება. დღეს სახეზე გვაქვს ევროკონვენციის მესამე მუხლი: წამება და არაადამიანური მოპყრობა. დარწმუნებული ვარ, ზუსტად ამ ფაქტზე, სააკაშვილი რომ შეიყვანეს ასეთ ადგილას, სტრასბურის სასამართლო სააკაშვილის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, თუკი მისი ადვოკატები ამას გაასაჩივრებენ, რადგან ეს ცალსახად არის ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა. ვეთანხმები ევროპარლამენტარის იმ განცხადებას, რომ ამას არავითარი კავშირი არა აქვს ევროპასთან და ევროპულ ღირებულებებთან!

***– ისე შორს ხართ ევროპისგან, როგორც არასდროსო.***

– დიახ, ასეა. ეს არის რუსულ-მონღოლური, საბჭოთა დამოკიდებულება ადამიანის უფლებებისადმი.

***– ძალიან ცუდად დაამთავრებს „ოცნებაო“. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– „ოცნება“ ცუდად დაამთავრებს თუ კარგად, ამას ვერ გეტყვით. მე თუ მკითხავთ, „ოცნებას“ დიდი ხანია დამთავრებული აქვს. დღეის მდგომარეობით, მას არ გააჩნია ქვეყნის მართვის რესურსი. ეს მართვა არ არის, რაც დღეს ხდება. არც არჩევნები ჰგავდა მართვას. ეს არის სიტუაცია, როდესაც ხელისუფლება ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, არჩევნების უფლებას გართმევს, სასამართლოს უფლებას გართმევს და არანაირ გზას არ გიტოვებს, გარდა იმისა, რომ ქუჩაში გამოხვიდე. დღეს ქვეყანა გაუგონარ ქაოსშია შეყვანილი.

***– რუსული არხები ცინიკურ გადაცემებს უძღვნიან ამ ყველაფერს. ძალიან სამწუხარო და მძიმე საყურებელია.***

– თითქმის არ არსებობს რუსული არხი და საინფორმაციო გამოშვება, სადაც სააკაშვილს არ მოიხსენიებენ ცინიკურად, დამცინავად. კი ბატონო, სააკაშვილთან კითხვები ნამდვილად არსებობს, თუმცა არსებობს სათანადო წესები და ფორმები და ეს უნდა იქნეს დაცული. თუ ევროპაში გვინდა, მაშინ უნდა მოვიქცეთ ცივილიზებულად, თუ არადა, რუსეთში ნავალნი რა დღეში ჰყავთ, კი ვხედავთ.

***– ამ სიტუაციამდე ბევრი აღარ გვიკლია?***

– მაგაზე გაცილებით საშიში სიტუაციაა, როდესაც შენ შეგყავს პატიმარი ისეთ დაწესებულებაში, პირადად მე 4-5 პატიმარი ვიცი, რომლებიც სააკაშვილის დროს არიან გასამართლებული, დღესაც სხედან გლდანის ციხეში, არიან საშინლად ნაწამები და ერთს კიდევ 7 წელი აქვს დარჩენილი.

***– ალბათ მაქსიმალურად იქნება დაცული უსაფრთხოების ზომები.***

– ციხეს თავისი წესები აქვს. როდესაც იწყება ე.წ. შუმოკი, ხმაური, შუმოკიდან მერე ციხის ბუნტში რომ გადაიზარდოს, ზუსტად ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

***– ფეთქებადსაშიში სიტუაციაა?***

– რა თქმა უნდა. მე ყოველ წუთს ველოდები ბუნტის დაწყებას. არ ვიცი, რამ აიძულა ხელისუფლება, ასე მოქცეულიყო. ასევე თქვენ იცით ქურდულ სამყაროსთან სააკაშვილის მაშინდელი დამოკიდებულება, ბევრი უკანონო განაჩენიც იყო. მოკლედ, ძალიან სახიფათო სიტუაციაა. რანაირი პოლიტიკური შურისძიებაც არ უნდა იყოს და გინდოდეს ეს, არ ვიცი, ეს ნაბიჯი რამ გადაადგმევინათ. წაეყვანათ სამოქალაქო კლინიკაში, ჩაეტარებინათ მკურნალობა, მოეკიდათ მერე ხელი და გადმოეყვანათ ისევ უკან. სულ არაფრისგან შეიქმნა ამხელა ამბავი.

***– საით მივდივართ ან როგორ უნდა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან?***

– არ ვიცი. რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია, მე მათ ვერც ერთ ქმედებაში ლოგიკა ვერ დავინახე. 2012 წელს ვინც „ოცნება“ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში, არც ერთი არ ვართ იქ დარჩენილი. დღეს „ოცნებაში“ იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც ნაცმოძრაობის აქტივისტები და მათი აქტიური მხარდამჭერები, ნაცმოძრაობის ოფიციალური დამფინანსებლები იყვნენ. დღეს „ოცნება“ აბსოლუტურად რუსულ თამაშს თამაშობს და რუსეთისაკენ მიგვაქანებს.

# „სააკაშვილს 600-მანქანიანი კორტეჟი უნდა გაჰყოლოდა“

## საქართველოს მესამე პრეზიდენტს 7 ნოემბრის საქმეზე პატიმრობა გაუუქმდა

გუშინ, 10 ნოემბერს, პენიტენციარულმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი სასამართლო პროცესზე არ გადაიყვანა.

როგორც სამსახურის განცხადებაშია აღნიშნული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაშია სს საქმე, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებით კი ცნობილი გახდა, რომ იგეგმებოდა სააკაშვილის პენიტენციარულ დაწესებულებაში ეტაპირებისათვის ხელის შეშლის მიზნით დაწესებულებასთან მისასვლელი საავტომობილო გზების ბლოკირება რიგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა საკუთრებაში არსებული ავტომანქანების საშუალებით.

„მათ განზრახული ჰქონდათ აღნიშნული დესტრუქციული ხასიათის მოქმედებების განხორციელება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებდა დაახლოებით 500-600 ავტომანქანა, რაც გამოიწვევდა უკონტროლო სიტუაციას, ქაოსს და შექმნილი ვითარება ხელს შეუშლიდა მიხეილ სააკაშვილის ეტაპირების პროცესს.

აღნიშნული სახის ქმედებებს, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მისი სასამართლო დარბაზში ესკორტირების შემთხვევაშიც, ასევე, ბრალდებულ/მსჯავრდებულ მ.სააკაშვილს შეწყვეტილი აქვს მკურნალობის არსებითი ნაწილი, სასამართლო პროცესზე გაყვანა და დასწრება წარმოადგენს დამატებით რისკს მისი ჯანმრთელობისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სპეციალური პენიტენციარული სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს ბრალდებულ/მსჯავრდებულ მ.სააკაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოდგენა“, – ნათქვამია განცხადებაში.



სასამართლოში კი 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლეთა კოლეგიამ ლია ორკოდაშვილის, ნინო ელიეშვილისა და მაია ქოქიაშვილის შემადგენლობით მიიღო.

მოსამართლე ნინო ელიეშვილმა განმარტა, რომ სასამართლო სააკაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას ვერ ხედავს. რაც შეეხება ზურაბ ადეიშვილსა და დავით კეზერაშვილს, რომლებიც ამ საქმეზე ბრალდებულები არიან, მოსამართლის თქმით, ახალი გარემოება არ ყოფილა წარმოდგენილი, რომ პატიმრობა გაუქმებულიყო, რის გამოც პატიმრობა უცვლელად იქნა დატოვებული.

სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიხეილ სააკაშვილი მსჯავრდებულია ყოფილი დეპუტატის ვალერი გელაშვილის ცემისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებული პირების შეწყალების საქმეებზე. კერძოდ, ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე სააკაშვილს შეფარდებული აქვს 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სანდრო გირგვლიანის საქმეზე – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შესაბამისად, გუშინდელი გადაწყვეტილების მიუხედავად, სააკაშვილი კვლავ პატიმრობაში რჩება.

# თემურ კუპატაძე: „ვცხოვრობ მცხეთაში, 100.000-იან სახლში“

– ვცხოვრობ მცხეთაში, სახლში, რომელიც გაფორმებულია ჩემს სახელზე და არაფერს ვმალავ.

ამის შესახებ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თემურ კუპატაძემ ნაციონალური მოძრაობის წევრ ლევან ხაბეიშვილთან დაპირისპირების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც კუპატაძემ განმარტა, უძრავი ქონება, რომელზეც ხაბეიშვილი საუბრობს, ორი სახლის გაყიდვის შედეგად და კრედიტით იყიდა.

– წლების განმავლობაში მქონდა სახლი, გავყიდე ერთი და მეორე და ვეძებდი შესაბამის ვარიანტს, რომ მეყიდა. არ მაქვს სახლის ქონის უფლება? ხაბეიშვილი, რომელიც არის კეკლუცი, კამერების წინ მოთამაშე, მოცეკვავე, ამბობს, რომ თურმე 2018 წლის შემდეგ ჩემს დეკლარაციას ვერ ნახულობს, – განაცხადა კუპატაძემ.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი ანაზღაურებით შეეძინა იმ ღირებულების უძრავი ქონება, რომელზეც ლევან ხაბეიშვილი საუბრობს, კუპატაძე ამბობს:

– კალკულაცია ხომ არსებობს, დათვალეთ. საკმარისია და კრედიტებსაც გაჩვენებთ. მილიონიანი არ არის, 100– ათასიანია და, შესაბამისად, შეგიძლიათ, ნახოთ კრედიტებიც.

იუსტიციის სამინისტროსთან ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თემურ კუპატაძე ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება ხაბეიშვილის სიტყვით გამოსვლას მოჰყვა, რომელმაც საზოგადოებას მიმართა, ეკითხათ კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელის მოადგილისთვის, თუ როგორ შეძლო მილიონებად შეფასებული ქონების შეძენა.

# შსს-მ თბილისში აქციებზე 46 პირი დააკავა

გუშინ, 10 ნოემბერს, თბილისში სხვადასხვა ადმინისტრაციულ შენობასთან მიმდინარე საპროტესტო აქციებზე პოლიციამ ადმინისტრაციული წესით, ჯამში, 46 პირი დააკავა.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აქციის მონაწილეები გასცდნენ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს და შეეცადნენ ადმინისტრაციული შენობების შესასვლელების ბლოკირებას.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო იცავს ჩვენი მოქალაქეების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ მშვიდობიანი შეკრებებისა და მანიფესტაციის გამართვის უფლებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოების შენობების შესასვლელების ბლოკირება და მათი საქმიანობის შეფერხება.

როგორც წინა დღეებში, ასევე დღესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე და მოვლენების ხელოვნურად ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით მობილიზებული არიან და საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქციის მონაწილეებსა და პოლიტიკურ ლიდერებს მოუწოდებს, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, პატივი სცენ სამართალდამცველთა საქმიანობას, არ გასცდნენ მშვიდობიანი შეკრების კანონით დადგენილ ფარგლებს, დაემორჩილონ პოლიციის მოთხოვნას და დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი.

კანონდარღვევის ნებისმიერი ფაქტი პოლიციის მხრიდან მყისიერად იქნება აღკვეთილი და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება,“ – აცხადებენ შსს-ში.

# სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის საქმეზე დაკავებულები პატიმრობაში დარჩნენ

მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის საქმეზე დაკავებულები – გიორგი ნარიმანიძე, ელგუჯა ცომაია, ზურაბ და შალვა წოწორიები – კვლავ პატიმრობაში რჩებიან.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით კურტანიძემ გუშინ, 10 ნოემბერს, გამოაცხადა.

სასამართლო სხდომაზე დაკავებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გადაისინჯა და ძალაში დარჩა.

პროკურატურა დაკავებულების მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვებას ითხოვდა.

ელგუჯა ცომაიას ადვოკატი მისი 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა. ზურაბ და შალვა წოწორიების, გიორგი ნარიმანიძის უფლებადამცველიც დაკავებულების გათავისუფლებას გირაოს სანაცვლოდ ითხოვდა, თუმცა თანხის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიანდო.

ამასთან, აღნიშნულ საქმეზე საგამოძიებო ვადა გახანგრძლივდა და წინასასამართლო სხდომა 28 დეკემბერს გაიმართება.

ერთ-ერთი ადვოკატის კითხვაზე, თუ რატომ არ იმყოფება მიხეილ სააკაშვილი დარბაზში, მოსამართლემ უპასუხა, რომ სააკაშვილი ამ სხდომაზე არ უნდა ყოფილიყო.

– როგორ უნდა იყოს დარბაზში სააკაშვილი? მისი საქმე ცალკე წარმოებად მიმდინარეობს, – განაცხადა კურტანიძემ.

ცნობისთვის, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით, 344-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 344-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ბრალდებულებს გიორგი ნარიმანიძეს, ელგუჯა ცომაიას, შალვა და ზურაბ წოწორიებს მძიმე დანაშაულის დაფარვას ედავებიან. რაც შეეხება ელგუჯა ცომაიას, მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს საზღვრის უკანონო გადმოკვეთაში დახმარებისთვის.

# ნინო ლომჯარია: „გლდანის ციხეში პატიმრებმა მაგინეს“

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია არ გამორიცხავს, რომ გლდანის მე-18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების მხრიდან შეურაცხმყოფელი განცხადებები ორგანიზებული და კოორდინირებული ყოფილიყო. როგორც ნინო ლომჯარია „ფორმულას“ ეთერში განმარტავს, მას ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ აქვს, მაგრამ ამბობს, რომ ის ციხეში ისე შევიდა, რომ მისი ამოცნობა რთული იყო, თუმცა პატიმრები მის გვარს სკანდირებდნენ.

– ვერ გამოვრიცხავ იმას, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო გარკვეული ჯგუფის პატიმრების მხრიდან ორგანიზებული და კოორდინირებული, თუმცა მე ამის მტკიცებულებები არ მაქვს. ერთადერთი, რაც შეიძლება ვთქვა: სრულიად შეფუთული შევდივარ მე, პირადად, ციხეში. რამდენიმე წამი დამჭირდა, სანამ შევიდოდი მანქანიდან მე-18 დაწესებულებაში ალბათ და ამ რამდენიმე წამის განმავლობაში ჩემს გვარსაც სკანდირებდნენ. რა თქმა უნდა, ეჭვებს აჩენს, როგორ შეიძლებოდა, ეს დაეფიქსირებინათ ისე, რომ არ ყოფილიყო კოორდინირებული ან წინასწარ ორგანიზებული, – თქვა ლომჯარიამ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ამერიკული ხომალდების ვიზიტი საქართველოსა და აშშ-ს შორის ძლიერი სტრატეგიული ურთიერთობების კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა“

– მივესალმები ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეებისა და პარტნიორების ვიზიტს ბათუმის პორტში; მივესალმებით ამერიკულ სამხედრო ხომალდებს, მათ ეკიპაჟებსა და პირად შემადგენლობას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში განაცხადა, სადაც ამერიკულ ხომალდ „მაუნთ უიტნიზე“ იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ამერიკული ხომალდების ვიზიტი საქართველოსა და აშშ-ს შორის ძლიერი სტრატეგიული ურთიერთობების კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

– ჩვენ კარგად გვესმის შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობა და გამიზნული გვაქვს ჩვენი მოკავშირეების დახმარება ამ მიმართულებით. ჩვენ ვიზიარებთ პასუხისმგებლობას რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაზე და კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. სარდლობებს შორის თავსებადობა, პარტნიორობაზე კონცენტრირებული წვრთნები და კრიზისულ პერიოდებში ჩვენი ძალების გაერთიანება რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა. მოხარული ვარ, რომ ჩვენს მეგობრებს შესაძლებლობა ექნებათ, ბათუმში ყოფნისას გაეცნონ ჩვენი ქვეყნის მდიდარ ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.

მინდა, ჩვენს სტუმრებთან ერთად, დიდი მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ხალხს, თითოეულ ამერიკელს, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან გვერდით უდგას საქართველოს. ჩვენი მთავრობის და ქართველი ხალხის სახელით, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ჩამობრძანებისთვის და წარმატებულ ვიზიტს გისურვებთ, – მიმართა პრემიერ-მინისტრმა ამერიკული ხომალდების ეკიპაჟის წევრებსა და პირად შემადგენლობას.

ამერიკულ ხომალდზე შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართეს აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და მეექვსე ფლოტის მეთაურმა, ვიცეადმირალმა ჯინ ბლექმა.

– მაქვს პატივი, ხომალდ „მაუნთ უიტნისა“ და „არლი ბურკის“ კლასის მართვად სარაკეტო გამანადგურებელ ხომალდ „პორტერს“ დავხვდე საქართველოში. ამ ხომალდების ეკიპაჟისა და პირადი შემადგენლობის ბევრი წარმომადგენელი ამ მშვენიერ ქვეყანას პირველად ეწვია, თუმცა ეს ხომალდები აქ ბევრჯერ ყოფილან. ძალიან ვამაყობთ, რომ კვლავ დაბრუნდნენ დღეს.

„მაუნთ უიტნიმ“ 2008 წლის სექტემბერში – რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრის დროს – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან 17 ტონა მეტად საჭირო ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანა. ეს იყო ამ ხომალდის პირველი შემოსვლა შავი ზღვის აკვატორიაში და შეხედეთ, რამდენად წინ წავიდა ამ პერიოდში საქართველო. ამ დიდებული ხომალდების ისტორია და მათი ეკიპაჟების შესაძლებლობები და მიღწევები შთამბეჭდავია. ეს ვიზიტი ადასტურებს, რომ შეერთებული შტატები და საქართველო პარტნიორების რანგში ერთგულნი არიან უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდეისადმი.

ერთი თვე არც არის გასული შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის ვიზიტისგან, რომელმაც ბრძოლის ველზე ქართველ მეომრებთან ერთად ყოფნა გაიხსენა და მადლიერება გამოხატა მათდამი. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოებისა და მოკავშირეების მეომრებთან ერთად 22 ათასზე მეტი ქართველი მონაწილეობდა წვრთნებსა და ბრძოლებში.

მადლობას გიხდით ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო ვიცეპრემიერო, ბატონო თავდაცვის მინისტრო, თავდაცვის ძალების მეთაურო, საზღვრის დაცვისა და საზღვაო პატრულირების სამსახურების ხელმძღვანელებო ამ ვიზიტის ხელშეწყობისთვის და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ჩვენი პარტნიორობის ძლიერი მხარდაჭერისთვის, – აღნიშნა ელჩმა კელი დეგნანმა.



საქართველოსა და ბათუმს ამერიკული ხომალდებისა და ეკიპაჟების მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა ვიცეადმირალმა ჯინ ბლექმა.

– საქართველოს მხარდაჭერას უშუალოდ შეაქვს წვლილი საერთო საზღვაო უსაფრთხოებაში შავი ზღვის რეგიონში. მასპინძელმა ქალაქმა ჭეშმარიტი სითბოთი და მასპინძლობით მიიღო ჩვენი მეზღვაურები, ეკიპაჟები და პირადი შემადგენლობა. მე დიდად ვაფასებ ამას. მადლობას ვუხდი ასევე საქართველოს თავდაცვის ძალებსა და ქართველ ხალხს შეერთებული შტატებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მისიების მხარდაჭერისთვის.

საქართველო ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ქვეყნის მიმართ ჩვენი მხარდაჭერა ურყევი რჩება. შეერთებული შტატები განუხრელად ერთგულია მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობების შენარჩუნებისადმი და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განვითარების სფეროში დახმარებისადმი.

ამერიკის საზღვაო ძალები, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებსა და მოკავშირეებთან, მათ შორის საქართველოსთან ერთად აძლიერებს საზღვაო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას შავი ზღვის რეგიონში. არც ერთ ქვეყანას არ ძალუძს ცალკე საფრთხეებთან გამკლავება და, ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ექვსი ერის საზღვაო ფლოტის სახელით მადლობას ვუხდი საქართველოს ამ შესაძლებლობისთვის, რაც ჩვენს ურთიერთობებს აძლიერებს, – აღნიშნა ვიცეადმირალმა ჯინ ბლექმა.

# პოლონეთში დააკავეს ყველა, ვინც საზღვრის გადაკვეთა ცადა

პოლონეთის ხელისუფლების ინფორმაციით, 9 ნოემბერს პოლონეთ-ბელარუსის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა.

– ეს არ იყო მშვიდი ღამე. პოლონეთის საზღვრის დარღვევის ბევრი მცდელობა განხორციელდა, – განაცხადა პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მარიუშ ბლაშჩაკმა და დასძინა, რომ ყველა, ვინც საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა, დააკავეს.

მისივე თქმით, სასაზღვრო რეგიონში დამატებითი ძალები განალაგეს და სამხედროების რაოდენობა 12-დან 15.000-მდე გაზარდეს.

პოლონეთის ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სამშაბათს საღამოს პოლონეთის საზღვრის გადაკვეთა – 200-მა, გვიან ღამით კი 60-მა მიგრანტმა ცადა.



შეგახსენებთ, ევროკავშირი ბელარუსს არალეგალი მიგრანტების წახალისებაში ადანაშაულებს, რითაც, ბლოკის მტკიცებით, ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმი ცდილობს, ევროკავშირს სამაგიერო გადაუხადოს იმ სანქციებისთვის, რომლებიც მინსკს ადამიანის უფლებების დარღვევისთვის დააკისრეს.

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა, რომლის დროსაც ლიდერებმა პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე არსებული მდგომარეობა განიხილეს.

ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ბელარუსის მხრიდან მიგრანტების გამოყენება „არაჰუმანური და მიუღებელი" საქციელია.

ამასთან, გერმანიის კანცლერმა რუსეთის პრეზიდენტს სთხოვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით იმოქმედოს.

პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე არსებულ სიტუაციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და მისმა ბელარუსმა კოლეგა ვლადიმერ მაკეიმაც ისაუბრეს. სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ კრიზისის მოგვარების ერთადერთი გზა დიალოგია.

– ბელარუსმა უკვე არაერთხელ შემოგვთავაზა კონსულტაციების ჩატარება, საუბარი, ამ საკითხების საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გადაწყვეტა", – აღნიშნა ლავროვმა.

ვლადიმერ მაკეიმ კი განაცხადა, რომ პრობლემაა არა ბელარუსი, არამედ ევროკავშირი.

– პრობლემა არის ევროკავშირი, რადგან ჩვენ ვხედავთ და დარწმუნებული ვართ, რომ ევროკავშირს არ აქვს სტრატეგია ბელარუსთან მიმართებით. ყოველთვის უნდა არსებობდეს საუბრის გამბედაობა, თუნდაც რთულ სიტუაციებში, – აღნიშნა მაკეიმ.

# მაკრონი: „65 წლისა და უფროსი ასაკის მოქალაქეები ბუსტერდოზით უნდა აიცრან"

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ 65 წლისა და უფროსი ასაკის მოქალაქეებმა დეკემბრის შუა რიცხვებამდე კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ე.წ. ბუსტერდოზა უნდა მიიღონ იმისთვის, რომ მათი ჯანმრთელობის საშვი ვალიდური იყოს.



– პანდემია არ დაგვისრულებია. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეასრულოს თავისი როლი პანდემიის „მეხუთე ტალღის" თავიდან აცილებაში, – განაცხადა მაკრონმა სატელევიზიო მიმართვის დროს და დასძინა, რომ, კვლევების თანახმად, ვაქცინაციის შედეგად მიღებული იმუნიტეტი 6 თვის შემდეგ მცირდება.

საფრანგეთს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ვაქცინაციის მაჩვენებელი აქვს. ქვეყანაში ზრდასრული მოსახლეობის თითქმის 75% სრულად არის აცრილი.

# აშშ-ის მოქალაქემ რუსულ ზონაში შიმშილობა გამოაცხადა

მორდოვეთის კოლონიაში სასჯელს იხდის აშშ-ის მოქალაქე ტრევორ რიდი. მას პოლიციელზე თავდასხმისათვის 9 წელი მიუსაჯეს.

თავად რიდი ბრალს უარყოფს.

პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა. ის ამტკიცებს, რომ მისი უფლებები ირღვევა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჩავის გეგმები



ესპანური მედიის ცნობით, ჟერარ პიკე ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრად იყო მიწვეული, მაგრამ მადრიდში დაგეგმილი ინტერვიუ გააუქმა.

ამის მიზეზი „ბარსელონის" მთავარი მწვრთნელის მიერ დაწესებული წესებია. ჩავი ერნანდესისთვის გუნდის მომზადების პროცესში წესრიგსა და დისციპლინას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მას სურს, ფეხბურთელები ვარჯიშზე მაქსიმალურად იყვნენ კონცენტრირებულნი და ბარსას მიღმა აქტივობებით ნაკლებად დაკავდნენ.

აქამდე პიკე მედიაში ხშირად ჩნდებოდა და არც კლუბისთვის მნიშვნელოვან თემებზე ღიად საუბარს ერიდებოდა. როგორც ჩანს, გუნდში ჩავის ყოფნის პერიოდში 34 წლის ფეხბურთელისგან მსგავს აქტივობებს იშვიათად ვიხილავთ.

თავად პიკეს მარჯვენა ფეხის სამთავა კუნთის დაზიანება აქვს და ვარჯიშებს თვალს შორიდან ადევნებს.

ამასობაში ჩავიმ პირველი სავარჯიშო სესია ჩაატარა. გავრცელებული ცნობებით, ამიერიდან სესიების სისტემა შეიცვლება: აქამდე ფეხბურთელები ვარჯიშზე ესპანეთის დროით 11:00 საათზე მიდიოდნენ, ახლა ფეხბურთელებს „სიუტატ ესპორტივაზე" გამოცხადება 9:30 საათიდან მოუწევთ, სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლები კი ადგილზე ვარჯიშამდე 2 საათით ადრე უნდა მივიდნენ.

ასევე, ფეხბურთელებს ვარჯიშის დაწყებამდე 30-60 წუთით ადრე მისვლა დაევალებათ, რათა ჩავის მათთან ინდივიდუალურად გასაუბრების საშუალება ჰქონდეს.

ამასთანავე, კლუბის სამედიცინო სიტუაციის გამოსასწორებლად „ლურჯ-ბროწეულისფერებს" ინდივიდუალურად სპეციფიკური ფიზიკური და ტექნიკურ-ტაქტიკური ვარჯიშები დაენიშნებათ, რაც მათ ტრავმებისადმი მდგრადობას გამოუმუშავებს.

ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები სასაუზმოდ შენობაში გადაინაცვლებენ, სადაც სპეციალურად შედგენილი დიეტის მიხედვით გამოიკვებებიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩავის ფიტნეს მწვრთნელად ედუ პონსის დაბრუნება სურს, რომელიც კლუბში 2012-დან 2020 წლამდე მუშაობდა და ამჟამად ესპანეთის ნაკრებშია დაკავებული.

ბევრმა 6 წლის წინანდელი ამბები გაიხსენა, როცა თავად ჩავი წავიდა გუნდიდან. პუიოლის წასვლის შემდეგ ის კლუბში ყველაზე ავტორიტეტული ფიგურა იყო, მაგრამ შეძლო გარდატეხის შეტანა და მესის დარწმუნება, რომ სუარესისთვის ცხრიანის პოზიცია დაეთმო, რადგან ფლანგზე აბსოლუტურად უსარგებლო იყო. მისი წასვლის შემდეგ კი მსგავსი პრობლემები ვერავინ მოაგვარა, შემტევი სამეული დანარჩენ გუნდს ძალიან მოსწყდა და შედეგიც გაუარესდა. ამას თან დაერთო უსარგებლო ფეხბურთელების მოსვლა და სახელფასო სისტემის დარღვევა, რამაც ბარსა საბოლოოდ მოშალა.

ჩავის ძალიან მოსწონს რაჰიმ სტერლინგი. ამაზე ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა, როცა ალ სადში ფეხბურთელის რანგში ირჯებოდა. მაშინ თქვა, რომ დიდი სიამოვნებით იხილავდა სტერლინგს ბარსაში, მაგრამ სტერლინგი პროგრესირებდა, ახლა კი რეგრესის გზას ადგას და გვარდიოლა აღარ ენდობა.

საუბარია პოლ პოგბას გადაბირებაზე, მაგრამ ამას უფრო მეტად მინო რაიოლასა და ლაპორტას ურთიერთობა განაპირობებს.

ჯერჯერობით ჩავის მწვრთნელობის დასაწყისში ეს საკითხები დგას. მისი პირველი ამოცანა კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაძლევა და ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა იქნება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### დაბადებისთანავე გაშვილებულმა მამაკაცმა მშობელი დედა 40 წლის შემდეგ იპოვა



აშშ-ის ქალაქ სან-დიეგოში ტობაი ჰაუტონი მშობელ დედას შეხვდა, რომელმაც ის დაბადებისთანავე გააშვილა. და ეს ყოველივე 40 წლის შემდეგ მოხდა.

ჰაუტონმა თავისი ღვიძლი დედის ძებნა 1982 წელს დაიწყო. მისი თქმით, მამობილი ყოველთვის გულახდილობით გამოირჩეოდა და არასოდეს შეუშლია ხელი ნათესავებთან მისი შეხვედრისთვის. ამერიკელი 12 წლიდან აგზავნიდა წერილებს გაშვილების სააგენტოში, მაგრამ დედის თაობაზე არანაირ მონაცემებს არ იღებდა. ამის გამო მან დამოუკიდებლად დაიწყო საქმის გამოძიება, რომელიც 40 წელს გაგრძელდა.

20 წლისამ მოახერხა საკუთარი დაბადების მოწმობის მოპოვება, რომელშიც მხოლოდ დედის გვარი იყო მითითებული, თუმცა ეს ინფორმაცია მას ვერაფრით დაეხმარა და ჰაუტონი ათწლეულების განმავლობაში ვერ პოულობდა რაიმე დამატებით მონაცემებს საკუთარ მშობელ დედაზე.

ერთხელაც მამაკაცი დნმ-ის ნიმუშით დაკარგული მშობლების ძებნის ვებგვერდზე დარეგისტრირდა და მისი მონაცემები გოგონას, სახელად ალისიას მონაცემებს დაემთხვა. ის მისი ბიძაშვილი აღმოჩნდა. ალისია დაეხმარა ჰაუტონს დეიდასთან დაკავშირებაში, ხოლო მან, თავის მხრივ, ღვიძლი დედის ტელეფონის ნომერი მისცა.

ორი წლის განმავლობაში ნათესავებს დისტანციური ურთიერთობა ჰქონდათ. მათ ჩააბარეს დნმ-ის ნიმუშები, რომლებმაც მათი ახლო ნათესაური კავშირი დაადასტურა. საბოლოოდ შეხვედრის დროს მამაკაცი ატირდა. ის დედამ დაამშვიდა და სახლში ღვინის დასალევად და სასაუბროდ მიიწვია.

### ოჯახის მიერ ნაყიდი ლეკვი სინამდვილეში მელია გამოდგა



პერუს დედაქალაქ ლიმაში ნაყიდი ლეკვი სინამდვილეში ანდური მელია აღმოჩნდა.

მარიბელ სოტელომ და მისმა შვილმა ლეკვი ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიაში შეიძინეს, პან-პანი დაარქვეს და, სანამ არ წამოიზარდა, დარწმუნებული იყვნენ, რომ ჯიშიანი ძაღლი ჰყავდათ. თავდაპირველად მათი ოჯახის ახალი წევრი მხიარულად ეთამაშებოდა მეზობლების ძაღლებს, მაგრამ შემდეგ მისი დამოკიდებულება მათ მიმართ შეიცვალა.

პან-პანმა მეზობლების ქათმებსა და იხვებზე ნადირობა დაიწყო, შემდეგ სამი ზღვის გოჭი შეჭამა და პატრონების სახლიდან გაიქცა. როგორც გაირკვა, ოჯახს ძაღლის სახით ანდური მელას ნაშიერი მიჰყიდეს.

სოტელოს დაღუპული ცხოველების პატრონებისთვის კომპენსაციის გადახდა მოუხდა. ქვეყნის ეკოლოგიური პოლიცია და ბუნების დაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლები ეძებენ ცხოველს, რათა ის საგანგებო ცენტრში ან ზოოპარკში მოათავსონ.

### ქალი მას შემდეგ გამდიდრდა, რაც მაღაზიაში მისთვის საჭირო პროდუქცია ვერ აღმოაჩინა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ როლიში ქალმა ლატარიის გათამაშებაში მას შემდეგ გაიმარჯვა და გამდიდრდა, რაც მაღაზიაში მისთვის საჭირო პროდუქციას ვერ მიაგნო.

ვერონიკა ბარტს თავისი საყვარელი ლატარიის ბილეთების შეძენა სურდა, რომლებსაც ავტოგასამართი სადგურის მაღაზიაში ყიდულობდა.

– გარკვეულ ბილეთს ვეძებდი. ის გაყიდვაში არ იყო, ამიტომ გამყიდველს ვთხოვე, სხვა ბილეთი მოეცა. არც ისეთი ბილეთი აღმოჩნდა, – იხსენებს ამერიკელი ქალი, რომელმაც საბოლოოდ სხვა მომენტალური ლატარიის გათამაშების სამი ბილეთი შეიძინა.

ქალი შეძენილი ბილეთებით სახლში დაბრუნდა და ორი მათგანი მამას მისცა, რათა ისინი მას შეემოწმებინა.

– შემდეგ მესმის, როგორ მეძახის მამა. მან ორჯერ ხმამაღლა წამოიძახა ჩემი სახელი და ბილეთი მომცა, – ყვება ქალი.

აღმოჩნდა, რომ მან ჯეკპოტის მოხსნა შეძლო. ვერონიკას მოგებამ 200 ათასი დოლარი შეადგინა. ის იმედოვნებს, რომ მოგებული თანხა დავალიანებების გასტუმრებასა და საპენსიო დანაზოგის შეგროვებაში დაეხმარება.

### რესტორნის მფლობელმა იშვიათი კიბორჩხალა რეკორდულ ფასად შეიძინა

იაპონიის ფუკუის პრეფექტურის თევზის პორტში უიშვიათესი კიბორჩხალა რეკორდულ თანხად, 800 ათას იენად გაიყიდა.

იაპონიაში შაბათს თოვლის კიბორჩხალას ჭერის სეზონი დაიწყო. იმავე დღეს ფუკუიში შედგა პრეფექტურის მიერ ორგანიზებული აუქციონი. მასზე ერთ-ერთი კიბორჩხალა უჩვეულოდ მაღალ ფასად გაიყიდა.

კიბორჩხალები რესტორნის მფლობელმა ტოსიაკი ნაკამურამ შეიძინა.

– კორონავირუსის პანდემია, როგორც იქნა, ჩაცხრა და მინდა, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რომ რესტორნები სრულ წესრიგში არიან, – განაცხადა ნაკამურამ.

### მოზარდმა ძმა ნიანგისგან ქვის დახმარებით იხსნა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში მოზარდმა ნიანგის ყურადღება ქვის სროლით მიიპყრო და თავისი 17 წლის ძმა მის ყბებში სიკვდილისგან იხსნა.

ჭაობის ნიანგი მოულოდნელად თავს დაესხა 17 წლის ვიკასას, რომელიც ფერმაში მუშაობის დასრულების შემდეგ სარწყავ არხში ხელებს იბანდა. მტაცებელმა ბიჭს პირი მარჯვენა ფეხში სტაცა და წყლის სიღრმეში მისი ჩათრევა ცადა.

მოზარდი ყვიროდა და წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, მაგრამ საამისოდ ძალა არ ჰყოფნიდა. მას 16 წლის ძმა, სახელად ნირაი მიეხმარა. მან აიღო დიდი ქვა და რეპტილიას ესროლა. დარტყმაზე ყურადღებაგადატანილმა ნიანგმა ვიკასას ფეხზე პირი უშვა, არხში ჩაცურდა და იქაურობას სასწრაფოდ გასცილდა. დაშავებული მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა სტაბილურია.

### აშშ-ში შხამიანი ობობების შემოსევა დაიწყო



ამერიკის ჯორჯიის შტატში უზარმაზარი აზიური ობობების შემოსევა დაიწყო. აღნიშნულ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

მილიონობით უზარმაზარმა ობობა Trichonephila clavata-მ დაფარა სახლები და ელექტროგადამცემი ხაზები თავისი ქსელებით, რომელთა სიღრმე სამ მეტრს აღწევს. ჯორჯიის უნივერსიტეტის ენტომოლოგი უილ ჰადსონი ამტკიცებს, რომ მოკლა 300-ზე მეტი ობობა, რომლებმაც მისი სახლის შესასვლელი ქსელებით დაფარეს.

– გასულ წელს ჩემს ბაღში რამდენიმე ათეული ობობა შევნიშნე, – განაცხადა ენტომოლოგმა, წელს კი უკვე ასეულობითაა და მათ ჩემი სახლი ნამდვილ საშინელებად აქციეს.

აღსანიშნავია, რომ ამ სახეობის ობობები გავრცელებულია იაპონიაში, ტაივანში, კორეასა და ჩინეთში. პირველად კი ისინი აშშ-ში 2014 წელს შენიშნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საქართველოს ნაკრები შვედეთთან ქულებს გვპირდება

დღეს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩს გამართავს შვედეთის ეროვნულ გუნდთან. ვილი სანიოლის კრებულმა ბათუმში მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართა. საწვრთნელი პროცესის დაწყებამდე კი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა და გურამ კაშიამ პრესკონფერენციაზე მედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხეს.

**ვილი სანიოლი:**

– ჩვენ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ და, ასე რომ არ გაგვეკეთებინა, არ გვეცოდინებოდა მათი პოტენციალი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოტენციურ კანდიდატებს ჰქონდეთ სანაკრებო პრაქტიკა და გამოცდილება.

რაც შეეხება განწყობას, რომელიც გუნდს აკლია მარტის შემდეგ, გეტყვით, რომ სექტემბერში ეს კარგი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ოქტომბერში კოსოვოსთან მოგების შემდეგ უკეთესია. გუნდში როდესაც არის ერთობა და ერთიანი განწყობა, შედეგი მაშინ მოდის. ასევე მინდა შეგახსენოთ, რომ სექტემბერში ბევრი ფეხბურთელი ტრავმირებული იყო, გვყავდა ბევრი უკლუბო ფეხბურთელიც, მე კი 23-კაციანი განაცხადი მაქვს შესავსები და ფეხბურთელების სიმრავლე ამის ბრალიც არის...

შვედებთან პირველ მატჩშიც გვქონდა მოგების შანსი, რადგან პირველი მომენტი ჩვენ შევქმენით და უნდა გაგვეტანა. თუმცა ახლა სხვა მატჩია, შვედებისთვის უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენც მოტივირებულები გავალთ მოედანზე და ვიბრძოლებთ...

ნაკრები თბილისიდან ბათუმში მატარებლით გაემგზავრა და ყველა ბედნიერია. გარდა ამისა, ამ მგზავრობის დროს გვქონდა მეტი კომუნიკაცია და ეს კარგია, რადგან ფეხბურთელები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან. გარდა ამისა, გზაში ვისაუბრეთ განვლილ მატჩებზე...

დაახლოებით სექტემბრიდან მამარდაშვილს კლუბში არ უთამაშია. სანაკრებოდ კი გუნდს სჭირდება ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც გუნდს გამოადგება. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მამარდაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებს დაეხმაროს, რომელსაც ასევე მნიშვნელოვანი ტურნირი ელის...



დღევანდელ მატჩში ბევრი რამ სხვანაირად იქნება. თუ კონკრეტულ მატჩში დაცვა არ იქნება კარგი, ცხადია, ეფექტური ვერ იქნება შეტევა.

**გურამ კაშია:**

– სექტემბრის მატჩები არა მარტო განწყობის გამო წავაგეთ, არამედ ცუდად ვითამაშეთ და პასუხისმგებლობა ფეხბურთელებმაც უნდა ავიღოთ. პირიქით, განწყობა სულ მაღალი გვაქვს, მაგრამ მიზეზი ამჯერად სხვა იყო.

ბოლო ორი მატჩი, რომლებიც ბათუმში ჩავატარეთ, თითქმის ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა, რადგან არ გვყავდა მაყურებელი. შვედეთთან მატჩში გულშემატკივარი დაგვესწრება და, იმედია, მათი მხარდაჭერით ბათუმში ქულების მოგროვებას დავიწყებთ.

საქართველოსა და შვედეთის საფეხბურთო ნაკრებთა დაპირისპირება ბათუმის „აჭარაბეთ არენაზე“ 21:00 საათზე დაიწყება.

# საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს გამოჯანმრთელებულები უბრუნდებიან



კიდევ ერთი გამოჯანმრთელებული ლეგიონერი საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის. ტრავმირებული თორნიკე შენგელიას შემდეგ მოედანს დაუბრუნდა გიორგი შერმადინიც. ორივე მათგანმა ოქტომბრის დასაწყისში მიიღო ტრავმა და თავდაპირველად მათი სანაკრებო მატჩებამდე გამოჯანმრთელება სათუო იყო, თუმცა ჯერ შენგელია, ხოლო დღეს შერმადინიც დაუბრუნდა მოედანს, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ერთი მათგანი შეზღუდული არ არის, ნაკრებს დაეხმაროს.

შერმადინი ტენერიფეს ესპანეთის ჩემპიონატის მე-9 ტურში დაუბრუნდა თავისი ყოფილი კლუბის, ანდორას წინააღმდეგ მატჩში. მასპინძელი შერმადინის გუნდი იყო, რომელმაც შეხვედრა 79:70 მოიგო. შერმადინმა 17 წუთი ითამაშა და 3 ქულას 5 მოხსნა მიამატა. ტენერიფელთა საუკეთესო კალათბურთელი კაილ ვილტიერი იყო – 16 ქულა.

შერმადინის გუნდს 9 ტურის შემდეგ 6 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში 3 გუნდთან ერთად 3-5 ადგილებს ინაწილებს.

**მატჩის შემდეგ ქართველმა ცენტრმა საკუთარ ჯანმრთელობაზე ისაუბრა:**

– ანდორას წინააღმდეგ ვითამაშე და თავს კარგად ვგრძნობ. ბოლო თვე-ნახევარი ძალიან რთული გახლდათ, მაგრამ მთავარია, რომ ახლა ჯანმრთელობის პრობლემები არ მაქვს და გუნდის დასახმარებლად მზად ვარ. ჩემპიონთა ლიგაზე თითოეული შეხვედრა მნიშვნელოვანია, რადგან გვსურს, ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ. ჩვენი მეტოქე მაღალი დონის გუნდია, რომელსაც ნიჭიერი კალათბურთელები ჰყავს და აუცილებელია, ყველაფრისთვის მზად ვიყოთ. იმედი მაქვს, ტრიბუნები სავსე იქნება, რადგან ეს დამატებით მუხტს გვაძლევს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ბექა ბურჯანაძემ ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი გამართა. მისი ბეტისი სტუმრად სარაგოსას შეხვდა და 10 ქულით – 72:82 დამარცხდა.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 20 წუთი გაატარა. ბურჯანაძემ 3-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. საბოლოოდ მის ანგარიშზე 9 ქულა და 1 მოხსნა დაგროვდა.

ბურჯანაძის გუნდს 2 მოგება და 7 მარცხი აქვს და ცხრილში ფუენლაბრადასთან ერთად ბოლო ადგილებს იყოფს. შემდეგ მატჩს ბეტისი შერმადინის ტენერიფესთან გამართავს.

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების უკანახაზელმა რატი ანდრონიკაშვილმა კი ნცაა-ს რეგულარული სეზონის ეგიდით პირველი მატჩი ჩაატარა. კრეიტონ ბლუჯეისმა არასაკონფერენციო შეხვედრაში არკანზას-პაინს 90:77 სძლია, რაშიც თავისი წვლილი 20 წლის ქართველმა მცველმაც შეიტანა.

ანდრონიკაშვილმა მოედანზე 9 წუთი გაატარა და 2 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. რატიმ 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი ააცილა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

შეგახსენებთ, რომ რატი ბიგ ისტის კონფერენციის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გასული სეზონის დასაწყისში ჩაირიცხა, თუმცა მოსამზადებელ ციკლში მძიმე ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთწლიანი პერიოდი გაუცდა.

მაიამი რედჰოუქსთან საშინაო მარცხით (69:72) გახსნა რეგულარული პირველობა საბა გიგიბერიას ჯორჯია ტექმა. 20 წლის ქართველმა ცენტრმა მოედანზე 5 წუთი გაატარა და 2 ქულა და 4 მოხსნა (2 შეტევაში) მიითვალა. საბამ 2-ქულიანი გამოიყენა.

გიგიბერიას კლუბი ატლანტიკ ქოსთის კონფერენციაში ირიცხება, მომდევნო შეხვედრას კი 13 ნოემბერს სტეტსონ ჰეიტერსთან გამართავს.

უქულოდ გახსნა არასაკონფერენციო შეხვედრები ალექს მერკვილაძემ, რომლის ლოიოლა მერიმაუნტმა ჩატანოგა მოკსთან 64:75 წააგო. 19 წლის ქართველი ფორვარდი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 8 წუთში 1 საჯარიმო ააცილა, აქტივში 1 მოხსნა ჰქონდა.

ლოიოლას, რომელიც ვესტ ქოუსთის წევრია, მომდევნო მატჩი არიზონასთან ელის.

# 19 წლამდე ნაკრები პორტუგალიაში ითამაშებს



საქართველოს 19-წლამდე ვაჟთა ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო ამხანაგურ 3-თა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ვასილ მაისურაძის გუნდი ტურნირის ფარგლებში დანიისა და მასპინძელი პორტუგალიის 19-წლამდე გუნდებს დაუპირისპირდება. მატჩებს 11-დან 16 ნოემბრამდე პორტუგალიის ქალაქი ლოუზადა უმასპინძლებს, რომელიც პორტუს რეგიონში მდებარეობს.

ამ ტურნირისთვის 19-წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ 20 ფეხბურთელი გამოიძახა.

**მეკარეები:** ლუკა ხარატიშვილი (დინამო ბთ), ლევან თანდილაშვილი (თელავი);

**მცველები:** დავით გოგოტიშვილი, მუხრან ბაგრატიონი, თორნიკე დუნდუა, ლუკა სალუქვაძე, ნიკოლოზ უგრეხელიძე (ყველა დინამო თბ), გიორგი ჩხეტიანი (ბრაგა, პორტუგალია), გიორგი პირტახია (ლოკომოტივი);

**ნახევარმცველები:** ლუკა კეკელიძე (ლოკომოტივი თბილისი), ნიკოლოზ ცხოვრებაშვილი, ნიკა სიხარულაშვილი (ორივე დინამო თბ), ოთარ მამაგეიშვილი, გიზო მამაგეიშვილი, გეგი გეგუჩაძე, ლუკა წულუკიძე (ყველა საბურთალო), გიორგი აბუაშვილი (პორტუ, პორტუგალია);

**თავდამსხმელები:** გიორგი გვიშიანი (გაგრა), ჯადული იობაშვილი (დინამო თბ), გიორგი კვერნაძე (საბურთალო).

პორტუგალიის ასაკობრივი გუნდი 19-წლამდე ევროპის ჩემპიონატის ბოლო 3 გათამაშების ფინალისტია – 2017 და 2019 წლებში ფინალში დამარცხდნენ, ხოლო 2018 წელს იტალიასთან გამარჯვების შემდეგ ჩემპიონობის მოპოვება შეძლეს.

დანიელმა 19-წლამდელებმა 6-12 ოქტომბერს გამართული საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფური ეტაპი, საქართველოს მსგავსად, პირველ ადგილზე დაასრულეს. დანიამ ჯგუფში ყაზახეთს, ჩრდილოეთ ირლანდიასა და მასპინძელი ჩეხეთის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს აჯობა.

შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელებმა 6-12 ოქტომბერს ნორვეგიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულეს და ელიტ რაუნდის საგზურის მოპოვება შეძლეს.

ელიტ რაუნდი 19-წლამდელებს გაზაფხულზე ელით, ხოლო ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი სლოვაკეთში 18 ივნისიდან 1 ივლისამდე გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელს, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს გარდაეცვალა მეუღლე

**მაია მშვილდაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 3. მაგნიტის ბერძნული სახელწოდება; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 8. ნავთობის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 11. ირლანდიის დედაქალაქი; 14. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 15. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. დროებით სხვასთან შეკედლებული პირი; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 22. სამხრეთ კორეის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 7. ისტორიული ციხე-სიმაგრე ახალციხეში; 9. მაისის თვის ქართული სახელწოდება; 10. უღელტეხილი აჭარაში; 12. კურკოვანი ხილი; 13. უძველესი ქართული სამეფო; 16. ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრებული პირი; 17. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 18. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 20. მოსავლის ამღები მანქანა; 22. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 23. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 24. საჭადრაკო ამოცანა; 25. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქვაწვია; 2. მიურიდი; 3. მეთუნე; 4. ლისტი; 5. ჩიჩერონე; 7. ბოა; 11. გიტარა; 15. იკებანა; 16. ქაჯანა; 17. კეგლი; 18. ეგერი; 20. ძეგლი; 22. ლიდა.

**თარაზულად:** 6. ხარები; 8. პირინეი; 9. ბასმაჩი; 10. წახნაგი; 12. განდი; 13. ივერი; 14. აპატრიდი; 19. ბრეგაძე; 21. ჭედილა; 23. გურჯი; 24. პლეადა; 25. ანაკლია; 26. ჰიდრანტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ავენიდა; 3. აკადემია; 4. აკვატორია; 5. ჰეკლა; 6. ასკილი; 8. ფრახტი; 11. ბოკერია; 14. ექსტრაქცია; 15. წუწუნავა; 16. შუშაბანდი; 17. ფაცერი; 19. აერაცია; 21. ტაიგა; 22. დიორი.

**თარაზულად:** 1. მაშავერა; 5. ჰერა; 7. ჩაფარი; 9. ლევანდოვსკი; 10. კუბდარი; 12. პლაკატი; 13. კარტელი; 16. შვიდეული; 17. ფაზა; 18. ქარვა; 20. ტარიბანა; 22. დვალი; 23. ბავარია; 24. ნიკორა; 25. გონიო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1523

ევრო — 3.6500

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2663

100 რუსული რუბლი — 4.4539

## ამინდის პროგნოზი 11 ნოემბრისათვის




## მარსელო, შესაძლოა, ბრაზილიაში დაბრუნდეს



მადრიდის რეალის ბრაზილიელი მცველი, მარსელო, შესაძლოა, ბრაზილიაში დაბრუნდეს, კერძოდ კი ფლუმინენსეში, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა.

ჯერჯერობით ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ფლუმინენსეს არ გაუკეთებია, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

მარსელომ წლევანდელ სეზონში მხოლოდ ერთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ის ანჩელოტის გეგმებში არ შედის.

## უმტიტის შეძენა ბენფიკას უნდა



„ბარსელონის“ ცენტრალური მცველის სამუელ უმტიტის შეძენა პორტუგალიურ ბენფიკას სურს და პორტუგალიელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 15 მილიონი ევრო გადაიხადონ. რონალდ კუმანის დროს უმტიტი საერთოდ არ გამოდიოდა მოედანზე და ამის გამო მან რამდენიმეჯერ დაიჩივლა კიდეც.

ჩავის მოსვლის შემდეგ, შესაძლოა, მდგომარეობა შეიცვალოს, თუმცა უმტიტის წასვლა მაინც რეალურია.

## ჩავის ტრინკაოს „ბარსელონაში“ დაბრუნება სურს



„ბარსელონის“ ახალ მთავარ მწვრთნელ ჩავი ერნანდესს პორტუგალიელი შემტევის, ტრინკაოს, დაბრუნება სურს, რომელიც იჯარის წესით ინგლისურ ვოლვერჰემპტონშია განათხოვრებული.

ჩავის აზრით, ტრინკაო „ბარსელონის“ შეტევაში მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება და მისი გუნდში ყოფნა აუცილებელია. ტრინკაომ გასულ სეზონში რამდენიმე გოლის გატანა შეძლო და რაღაც პერიოდი ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლებოდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ექიმებმა ბავშვს ათსანტიმეტრიანი კუდი მოაჭრეს



ბრაზილიის ქალაქ ფორტალეზაში ექიმებმა ახალდაბადებულ ბავშვს კუდი მოაშორეს.

ბავშვი ათსანტიმეტრიანი კუდით დაიბადა, რომელიც ბოლოში ბურთისმაგვარი მკვრივი ფორმით მთავრდებოდა. ულტრაბგერითმა კვლევამ აჩვენა, რომ გამონაზარდი არ იყო დაკავშირებული ნერვულ სისტემასთან და არ შედგებოდა ძვლოვანი და ხრტილოვანი ნივთიერებებისგან. მის მოსაშორებლად უბრალო ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო.

ექიმებმა ადვილად მოახერხეს კუდის მოშორება. როგორც გაირკვა, კუდის ბოლოში ბურთისმაგვარი წარმონაქმნი ცხიმისა და ემბრიონული შემაკავშირებელი ქსოვილებისგან შედგებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 11 ნოემბრისათვის

**ვერძი** — ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობას ერიდეთ. ეძიეთ შემოსავლის განსხვავებული წყარო. **კურო** — ხელმძღვანელობასთან საკუთარ პრინციპებს ნუ დაიცავთ. ინტუიციას მიენდეთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** — საოჯახო საქმეების მოწესრიგება დღესვე დაიწყეთ. ერიდეთ კამათს უფროსობასთან. **კირჩხიბი** — ზედმეტ დატვირთვასა და ახალი საქმის დაწყებას ვარსკვლავები გიკრძალავენ. კარგი იქნება, თუ საღამოს ახლო მეგობრებთან ერთად გაატარებთ და მოდუნდებით. **ლომი** — კრიტიკული დღეა. კონტაქტები შეამცირეთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** — განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ბუნების წიაღში გასეირნება და მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** — პასიური დღეა. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** — საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროთ. **მშვილდოსანი** — შორს გამგზავრებას ერიდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თხის რქა** — საქმიანი შეხვედრები, ასევე ყოველდღიური სამუშაო დაგქანცავთ. დრო გამოყავით სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად. **მერწყული** — დღის დადებითი ტენდენციები მძლავრობს. შესაფერისი პერიოდია ახალი ფინანსური გარიგებებისათვის. **თევზები** — სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

— ძვირფასო, რატომ თავიდანვე არ მითხარი თუ ასეთი ძუკნა იყავი?

— სიურპრიზიიი!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ვაიმე, მარილი დაიყარა. ჩხუბი იცის.

— იქნებ მაგის გარეშე ჩაიაროს.

— არა, ძვირფასო. მე უკვე განწყობა შევიქმენი...

●●●

ბიჭმა გოგონა სოფელში ჩაიყვანა. მეორე დილით ეზოში გამოსულმა ბებიამ პრეზერვატივი იპოვა და გაკვირვებული შვილიშვილს ეკითხება:

— აი რაია, ნენა?

— ბებია, სექსი გვქონდა გუშინღამ, სექსი.

— ნენა, სექსი ჩვენც კი გვქონდა, მარა ტყავს კი არ ვაძრობდით ერთმანეთს...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— შენთვის რომელია სექსში ყველაზე მოსაწყენი პოზა?

— ქვევიდან რომ წევხარ და ზევიდან რომ არავინ გაწევს!

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

— გუშინ ქმარი ჩამოვიდა მივლინებიდან...

— მერე?

— შემოვარდა თვალებჩაწითლებული, აღგზნებული, ერთიანად აკანკალებული... მხეცივით დამეტაკა და შემომადღლიზა...

— კაბა?

— არა, ჩვენი მეზობელი თენგო...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— შენი კაბის ჯიბეში მამაკაცის ტრუსიკი ვიპოვე.

— იპოვე და ჩაიცვი და მზით გაცვითე!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ქალო, გადმოწექი ჩემთან, სიყვარულის ცეცხლში უნდა დაგწვა.

— მაგ მბჟუტავი ფითილით?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიკოლოზ კანდელაკი და ნიკ ვესტი მშობლები გახდებიან



პროდიუსერი ნიკოლოზ კანდელაკი და მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსი ნიკ ვესტი პირველ შვილს ელოდებიან.

ეს სასიხარულო ინფორმაცია ნიკოლოზმა სოციალურ ქსელში გაავრცელა და სიხარულით ამცნო გულშემატკივრებს, რომ პატარა კანდელაკი სულ მალე მოევლინება ქვეყანას. ბედნიერმა წყვილმა ინტერნეტში ფოტოებიც გაავრცელა.

ნიკოლოზმა ნიკს ხელი პირდაპირ კონცერტზე სთხოვა და მისგან თანხმობაც მიიღო. წყვილმა ქორწილი საქართველოში გადაიხადა და ჯვარიც დაიწერა.

## ვანო იანტბელიძე ერეკლე მეორის სამეფო ორდენით დააჯილდოვეს



თელავის თეატრის მსახიობი ვანო იანტბელიძე ერეკლე მეორის სამეფო ორდენით დააჯილდოვეს.

ჯილდო ხელოვანს საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ გადასცა.

ერეკლე მეორის 301-ე წლისთავზე სათეატრო და კინოხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მსახიობ ვანო იანტბელიძეს მეფე ერეკლე მეორის სამეფო ორდენი საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

## დემნა გვასალია: „მოთმინების უნარი საერთოდ არ მაქვს“



დიზაინერ დემნა გვასალიას თქმით, მისი ყველაზე ცუდი თვისებაა ის, რომ'მოთმინების უნარი საერთოდ არ აქვს:

— მოთმინების უნარი საერთოდ არ მაქვს. ეს ჩემი ყველაზე ცუდი თვისებაა, თუმცა მოვიშორე განცდა, რომ საჭიროა, ვინმეს რამე დავუმტკიცო.

***— როგორ იქმნება თქვენი ორიგინალური კოლექციები?***

— ერთხელ ოსტეოფატის კაბინეტში დაკლაკნილი ვიწექი და თავში ისეთი კარგი იდეა მომივიდა. ჩემი ტვინი ასე მუშაობს. ერთხელ ვთქვი, რომ ჩემი ტანსაცმელი უშნოა და სწორედ ამიტომ მომწონს. მას მერე ხალხი ფიქრობს, რომ სიუშნოვისკენ მაქვს მიდრეკილება. ასე არ არის.

***— კოლექციაში კრისტობალ ბალენსიაგას 1968 წლის საქორწინო კაბა რატომ შეიტანეთ?***

— ეგ მეც გამიკვირდა! ძალიან ვიწვალე, ტექნიკურად ყველაზე რთული სამოსი იყო. არქივში გვქონდა ორიგინალი კაბა, რომელსაც შევხედეთ და შევისწავლეთ, როგორ გაგვეუმჯობესებინა, როგორ გაგვეხადა უფრო თანამედროვე და მინიმალისტური. 2 თვე სასოწარკვეთილი ვცდილობდი, ეს კაბა შემეცვალა. გავბედე ფიქრი, რომ შემეძლო, უკეთესი შემექმნა. საბოლოოდ რაღაც მომენტში მივხვდი, რომ მთელ ამ პროცესში ჩემი ძალა, როგორც დიზაინერის, იყო, უბრალოდ, მიშვება. კრისტობალ ბალენსიაგამ საუკეთესოდ შეკერა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნახევარი საუკუნის წინ მოხდა. შოუს ამ საკულტო კაბით დასრულება იყო კრისტობალის მემკვიდრეობისთვის პატივის მიგება.

***— რომ შეგეძლოთ რჩევის მიცემა 8 წლის დემნასთვის საქართველოდან, რას ეტყოდით?***

— არ უსმინო არავის, ვინც გეუბნება, რა და როგორ გააკეთო. უსმინე მხოლოდ საკუთარ გულს, რადგან ის ყოველთვის მიგიყვანს საჭირო ადგილებამდე. და არასდროს შეგეშინდეს, იმიტომ, რომ საშიში არაფერია. იყავი, ვინც ხარ, იყავი განსხვავებული, გიყვარდეს საკუთარი თავი, რადგან მხოლოდ ასე შეძლებ სხვების შეყვარებას.

***— თქვენი სიბერე როგორია?***

— შვეიცარიელი ხალხის მენტალიტეტი და შეგნების დონე მომწონს. დიახ, ჩემს სიბერეს შვეიცარიაში ვხედავ.

***— ბედნიერი ხართ?***

— ჩემს ცხოვრებაში პირველად ვგრძნობ, რომ ბედნიერი ვარ. მომავალში აუცილებლად გავაკეთებ რაღაცას, რაც მოდასთან კავშირში არ იქნება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## დაჭრილმა სპილომ ფოტოგრაფი მამაკაცი გასრისა

ტაილანდში გარეული სპილო თავს დაესხა ჟურნალისტს, რომელიც მისთვის ფოტოსურათის გადაღებას ცდილობდა და გასრისა.

აღნიშნული თავდასხმა პარასკევს ჩანტხაბურის პროვინციაში მოხდა. 46 წლის ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტი პარინია კესარატკიხული ტაილანდის ეროვნული პარკების, ბუნების დაცვისა და მცენარეების ეროვნული დეპარტამენტის ვეტერინარების მუშაობას იღებდა, რომლებიც თანამოძმესთან დაპირისპირების დროს სერიოზულად დაშავებულ სპილოს ეხმარებოდნენ.

გადაწყდა, დაჭრილი სპილოსთვის ანტიბიოტიკი გაეკეთებინათ. როდესაც დეპარტამენტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ცხოველს წამლის შემცველი ნივთიერება ესროლა, გარეული ცხოველი პანიკამ მოიცვა და რეპორტიორს თავს დაესხა, რომელმაც შედეგად სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 2. ეკლესია ქუთაისში; 3. მხარე ავსტრიაში; 4. ბრაზილიური ცეკვა; 5. ჭარხლისგან შაქრის მისაღები აპარატი; 7. ავსტრალიური სირაქლემა; 4. სამკურნალო ტალახით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი ნაპირი; 15. მზეზე მიმდინარე აფეთქების პროცესი; 16. ოცდასამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ამერიკელი მოცურავე მამაკაცი; 17. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. მდინარე ლონდონში; 22. პოლონეთის პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 6. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 8. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 9. არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების სახელწოდება ძველად; 10. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. სამეჯლისო ცეკვა; 13. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 14. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 19. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 21. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ფულის ერთეული ირანში; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის პორტუგალიური ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*